სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 30 ივნისი 2006 №148 (2770) ფასი 50 თეთრი

სადღეგრძელო გერმანიიდან

გრიგორი სურკისმა ქართული ოცნების ახდენისა თქვა

უკრაინული ფეხბურთის მეთაური გრიგორი სურკისი ახლა ისეთი ბედნიერია, ისეთი ხალისიანი და აღტაცებული, მიუშვი და, მთებს გადააგორებს.

მისი პასუხებიც „სარბიელთან" ინტერვიუში უფრო სადღეგრძელოებს ჰგავს, ვიდრე პასუხებს.

ოღონდაც, ეს ყველაფერი გასაგებია — უკრაინის ნაკრები უკვე რვა უძლიერესს შორისაა და ოთხეულში შესასვლელად ყველაფერს გააკეთებს.

ფეხბურთელებმა ძალიან სოლიდური პრემიები მიიღეს. უკვე ორჯერ. ამიერიდან ყოველი მატჩი პრემიას ნიშნავს, თუმცა ესეც რომ არ იყოს, უკრაინა პირველადაა მსოფლიოს ჩემპიონატზე და იბრძვის, რათა სამუდამოდ დააჩნდეს საფეხბურთო რუკას...

ირაკლი ლაბაძე კარგ წრეში ტრიალებს

ერთი ნაბიჯიც მარდი და, ან აგასი, ან ნადალი



AFP

6:4 6:2 6:3 — ასე იოლად და უპრობლემოდ გადაკრა ირაკლი ლაბაძემ „როლან გაროსის" შარშანწინდელი ჩემპიონის, მე-16 ნომრად განთესილი არგენტინელის გასტონ გაუდიოს საკითხი და კარიერაში პირველად გააღწია სლემტურნირის მესამე წრეში.

წლევანდელ უიმბლდონზე ირაკლიმ, კვალიფიკაციიდან მოყოლებული, უკვე ხუთი მეტოქე დაამარცხა, მეექვსე კი მარდი ფიშია, მოთიხნარე გაუდიოსგან განსხვავებით, სწორედ სწრაფი ბალახის მოყვარული ამერიკელი.

თუ უფრო შორსაც გავიხედავთ, მეოთხე წრეში ლაბაძეს ან საპენსიოდ გამზადებული ჯადოკაცი ანდრე აგასი შეხვდება, ანაც ჯადობიჭი რაფაელ ნადალი, რომელმაც გუშინ ბეწვის ხიდზე ვაიარა და ხუთსეტიან თრილერში 6:7 3:6 7:6 7:5 6:4 მოუგო უცნობ ამერიკელ რობერტ კენდრიკს.

AFP

სერია B-ს ვარიანტი A: გაჯაიდოს

ყველა გზა რომში მიდისო... როგორც გაირკვა, ეს გზები მარადიული ქალაქიდან უკანაც ბრუნდებიან — გუშინ „სტადიო ოლიმპიკოზე". დაწყებული დიდი სასამართლო პროცესი, რომელმაც იტალიური საფეხბურთო სკანდალის დამნაშავენი უნდა ამხილოს და დასაჯოს, დაწყებიდან სამ საათში შეწყდა და ორშაბათამდე გადაიდო. მიზეზი: სერია B-ს ხუთმა კლუბმა უკეთ მოსამზადებლად დრო ითხოვა და თხოვნა დაუკმაყოფილეს.

ჩნდება ეჭვი, ხომ არ დაიწყება დროის დაუსრულებელი წელვა და გაყვანა? წესით, არ უნდა დაიწყოს, რადგან აღრე თუ გვიან იტალიაში ახალი ჩემპიონატია დასაწყები, ძანამდე კი უნდა გაირკვეს, რომელ ლიგაში ითამაშებენ ეჭვმიტანილები: „იუვენტუსი", „მილანი", „ფიორენტინა" და „ლაციო".

ჯანლუკა პესოტო კი ტურინის საავადმყოფოში კვლავაც ცუდადაა. „იუვენტუსის" ყოფილ მცველს, რომელმაც თვითმკვლელობა სცადა, მთელი საფეხბურთო ევროპა უჭერს მხარს, თუმცა ექიმები გარანტიებისგან კვლავ თავს იკავებენ.

გამოდის, ნათდება!

ერთვნული 24-საათიან რეჟიმში

მარტივ დოლოდიანაშვილის ფოტო

ბადრი ქუთელაძის ფოტო

ბაკი სიონამდე მეგრელაძით შეიარაღდა

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

მეოთხედფინალი. დღეს

AFP

იენს ლემანი

AFP

მიროსლავ კლოზე, ლუკაშ პოდოლსკი და იენს ნოვოტნი

AFP

მიხაელ ბალაკი

გერმანია — არგენტინა

ბერლინი. „ოლიმპიაშტადიონი“. 19.00

1. ლემანი; 3. ფრიდრიხი; 21. მეცელდერი, 17. მერტესაკერი, 16. ლამი; 19. შნაიდერი, 8. ფრინგსი, 13. ბალაკი, 7. შვაინშტაიგერი; 11. კლოზე, 20. პოდოლსკი მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი	1. აბონდანსიერი; 17. კუფრე, 2. აიალა, 6. ჰაინცე, 3. სორინი; 22. ლუჩო გონსალესი, 8. მასკერანო, 18. მაქსი როდრიგესი; 10. რიკელმე; 7. სავიოლა, 9. კრესპო მწვრთნელი: ხოსე პეკერმანი

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

AFP

იურგენ კლინსმანი VS ხოსე პეკერმანი

AFP

კარლოს ტევესი და ხავიერ სავიოლა



AFP

რობერტო აიალა

AFP

ლეო მესი

თამაში-ისტორია ისტორიული წიგნების მოყვარული მსაჯით

გავიხსენოთ მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალები, თუ ყველაზე „ნაცრისფერის“ შერჩევა გვინდა, მაშინვე 1990 წლის გერმანია — არგენტინა წამოგვიტივტივდება თავში, უღიმღამო ფინალურ ორთაბრძოლათა ერთ-ერთი უპირველესი თვალსაჩინო ნიმუში. დღეს ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე“ მეოთხედფინალურ ომს სწორედ ეს გუნდები გადაიხდიან, თუმცა წლევანდელ მუნდიალზე არგენტინის და განსაკუთრებით გერმანიის გამოსვლას უფერულს ნამდვილად ვერ დაარქმევთ — ორივე შემტეგ ფეხბურთს თამაშობს და გულშემატკივართათვის მათი ჭიდილის ნახვა დიდად სასეირო იქნება.

„არგენტინას შესანიშნავი გუნდი ჰყავს, მაგრამ ჩვენ მათი დამარცხება შეგვიძლია“ — განუცხადა მედიას მიროსლავ კლოზემ, გერმანიის ნაკრების ფორვარდმა და მსოფლიოს ჩემპიონატის ამჟამინდელმა საუკეთესო მეგოლემ.

კლოზეს და ლუკაშ პოდოლსკის მოიერიშე დუეტი ბრწყინვალედ მოქმედებს. ამ წყვილმა 7 გოლი გამოაცხო გუნდის საერთო 10-დან. გერმანელებმა ჯგუფში კოსტა რიკას, პოლონეთს, ეკვადორს და მერვედფინალში შვედეთს გადაუარეს.

მუნდიალის მასპინძელი ქვეყნის ნაკრებს ტურნირის დაწყებამდე ძალიან კი აკრიტიკებდნენ, მაგრამ რაც მსოფლიოს ჩემპიონატი გახურდა, იურგენ კლინსმანის შეგირდთა ლაღმა ბურთაობამ ყველაზე ჯავღანა კრიტიკოსებიც ჩააჩუმა.

„ვის შეუძლია, ასეთი გერმანია შეაჩეროს?“ — თვით ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა იკითხა დიდის ამბით. ამაზე პასუხი დღეს არგენტინამ უნდა გასცეს, მაგრამ 1978 და 1986 წლების ჩემპიონებს გამოცდაზე „გაწურვა“ მოუწევთ...

არგენტინამ ჯგუფურ ეტაპზე დაამარცხა კოტ დივუარი, შეჭამა საბრალო სერბეთი და მეორე შემადგენლობით ფრე ითამაშა ჰოლანდიასთან. მერვედფინალში პატაგონიელები მექსიკას გადააწყდნენ და დაძაბულ ომში მაქსი როდრიგესის ფანტასტიკური გოლის წყალობით გაიმარჯვეს.

ალბისელესტეს ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე, პეკერმანის გადაწყვეტილებით, კამბიასოს ნაცვლად ლუჩო გონსალესი ითამაშებს, მარცხენა ფლანგზე კი მექსიკის შინ გამგზავნი მაქსი როდრიგესი იქნება. მცველ ბურდისოს მუხლი აწუხებს, ამიტომაც მის ნაცვლად ან სკალონის, ან ლეანდრო კუფრეს ვიხილავთ.

„მატჩი მექსიკასთან შეხვედრაზე გაცილებით დაძაბული იქნება. იმ თამაშში ბოლომდე გახსნა ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო, არგენტინა — გერმანია კი უშედავათო ჯახი უნდა იყოს“ — თქვა ლეო მესიმ, არგენტინის ნაკრების მორიგმა „მარადონამ“ (ყოველ შემთხვევაში, პატაგონიაში ასე მიაჩნიათ).

გერმანელებმა და არგენტინელებმა მუნდიალზე ბოლო ოფიციალური შეხვედრა 16 წლის წინ ჩაატარეს. 1990-ის ფინალი რომ ვახსენეთ — ის. თამაში ანდრეას ბრემეს შეგდებული პენალტით 1:0 დამთავრდა და გერმანიამაც მაშინ რევანში აიღო 1986 წლის ფინალში 2:3 წაგებისთვის. ეს გუნდები სულ 16-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს — 5-ჯერ გერმანიამ მოიგო, 7-ჯერ არგენტინამ. ბურთების შეფარდება 23:22 არგენტინელთა სასარგებლოდ.

ისიც აღვნიშნოთ, რომ მეოთხედფინალს რკინისნერვებიანი სლოვაკი ლუბოშ მიხელი განსჯის. ამ კაცმა არგენტინას და გერმანიას ერთი წლის წინ კონფედერაციათა თასზე უმსაჯა — ის შეხვედრა 2:2 დამთავრდა. ლუბოშ მიხელმა მშობლიურის გარდა ინგლისური და რუსული ენები იცის, უყვარს ისტორიული წიგნების კითხვა და ჩოგბურთის თამაშითაც ხალისობს. გერმანია 2006-ზე აქამდე სამი შეხვედრა განსაჯა და 25 ყვითელი და ორიც წითელი ბარათი უჩვენა გაფიცხებულ ფეხბურთელებს...

ლადო ხომერიკი

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

მეოთხედფინალი. დღეს

რატომ არ ტირის ანდრეი შევჩენკო?

იტალია — უკრაინა

ჰამბურგი. „AOL არენა“. 23.00

1. ბუფონი; 19. ძამბროტა, 6. ბარძალი, 5. კანავარო, 3. გროსო; 20. პეროტა, 21. პირლო, 8. გატუზო; 16. კამორანეზი, 10. ტოტი; 11. ჯილარდინო
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

1. შოვკოვსკი; 9. გუსევი, 6. რუსოლი, 22. სვიდერსკი, 2. ნესმაჩნი; 11. რებროვი, 4. ტიმოშჩუკი, 8. შელაევი, 19. კალინიჩენკო; 7. შევჩენკო, 16. ვორობეი
მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი

მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

AFP

უკრაინა დიდი მატჩისთვის ემზადება

იტალიისა და უკრაინის მატჩის ანონსი მსოფლიოს ნებისმიერი ჟურნალისტისთვის იოლი დასაწერია, მეტიც, თუ წინადადებების მიბმა იცის, ამ საქმეს გულშემატკივარიც ადვილად გაწვდება, რადგან მთავარი თემა გამოკვეთილია — მართალია, მსოფლიოს ჩემპიონატია და თან მეოთხედფინალური შეხვედრა, არც წინაისტორიით არის მდიდარი და არც მეტოქენი არიან კლასითა და ტრადიციით თანაბარნი. ასე რომ, თუ რაიმეზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, ეს ანდრეი შევჩენკოს იმ ქვეყანასთან დაპირისპირებაა, სადაც მან შვიდი წელიწადი გაატარა და რომლის უმაღლეს ლიგაშიც ანუ სერია A-ში, 208 თამაშში 127 გოლი გაიტანა.

მოგეხსენებათ, „მილანის“ მრისხანე თავდამსხმელმა ამ შვიდი წლის განმავლობაში შავ-წითელი მაისურით იტალიის ჩემპიონის ტიტულიც მოიგო და ჩემპიონთა ლიგაც, სულ ცოტა ხნის წინ კი „სან სიროს“ ხელი დაუჭნია და რუსი მილიარდერის, რომან აბრამოვიჩის კლუბში, ლონდონის „ჩელსიში“ გადავიდა.

ასე და ამგვარად, შევჩენკო „სკუადრა აძურას“ უპირისპირდება და ბუნებრივია, პასუხის გაცემა უხდება ისეთ სულელურ კითხვაზე, როგორიცაა, რას განიცდით დაპირისპირების წინ. ნეტავ, რას უნდა განიცდიდეს? ანდა, რომ უპასუხოს, იტალიელების კარის დანახვაზე თვალები ცრემლით მევსებაო, ვინმე თუ დაუჯერებს?

მოკლედ, შევჩენკოს დიპლომატიურ პასუხს და იმის მოსმენას, რომ მან აპენინებზე შვიდი ზღაპრული წელიწადი გაატარა, მაგრამ უკრაინელია და მეოთხედფინალში მხოლოდ თავისი ნაკრების გამარჯვებაზე იფიქრებს, თავი დავანებოთ, უკრაინელი ფორვარდის გამონათქვამებში საინტერესო სხვა უფრო იყო:

„ფავორიტი იტალიაა, მაგრამ მნიშვნელოვანი ეს კი არ გახლავთ, მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჩვენ ერთსულოვნად უნდა შევძლოთ თამაში. მართალია, მეტოქეს ტექნიკით ჩამოუვარდებით, მაგრამ ამის კომპენსაცია გულით და ჟინით უნდა მოახერხოთ. იტალიელები სამჯერ იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონები, ჩვენ კი პირველად ვართ მუნდიალზე და ეს დიდ განსხვავებაზე მიუთითებს, თუმც მე თუ მკითხავთ, დღეს ჩვენი შანსები თანაბარია“.

უკრაინის ნაკრებში დანაკლისია, ანდრეი ვორონინი დაშავდა და მისთვის ჩემპიონატიც დამთავრდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მწვრთნელ ოლეგ ბლოხინს შევჩენკოს მხარდამხარ ანდრეი ვორობეის ან სერგეი რებროვის გაყვანა მოუწევს. გამოჯანმრთელდა ბარძაყნატკენი ვლადიმირ იეზერსკიც — მან მუნდიალზე ბოლო სამი თამაში გამოტოვა, ვიაჩესლავ სვიდერსკი და ანდრეი რუსოლი კი დისკვალიფიცირებულნი იყვნენ და აღარ არიან.

იტალიელთა პრობლემათაგან კი აღსანიშნავია ის, რომ ალესანდრო ნესტა უკრაინასთან მატჩისთვის ვერ გამოჯანმრთელდა, დისკვალიფიცირებულია მარკო მატერაცი. ასე რომ, შევჩენკოს შეტევებთან გამკლავება ფაბიო კანავაროს მხარდამხარ გამოუცდელ ანდრეა ბარძალის მოუწევს. ბარძალი, როგორც ვთქვით, გამოუცდელია, თუმც ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვან მატჩებსა და წუთებში მობილიზების იშვიათი უნარი აქვს.

„მაღიზიანებს, როდესაც ამბობენ, რომ ავსტრალიასთან იღბალმა მოგვაგებინა — თქვა კანავარომ, როდესაც მერვედფინალი შეახსენეს — პირიქით, იმ დღეს თუ ვინმეს გაუმართლა, ავსტრალია იყო, რადგან მის კართან ექვსი თუ შვიდი საგოლე მომენტი შეიქმნა, რომელიც ვერ გამოვიყენეთ და ათმა თერთმეტის წინააღმდეგ კიდევ კარგად გაძლო“.

და, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია ფრანჩესკო ტოტის თემაც — გეხსომებათ, მარჩელო ლიპიმ ავსტრალიასთან შეხვედრაში ტოტის ალესანდრო დელ პიერო ამჯობინა, რომელმაც არ გაუმართლა, „რომას“ კაპიტანი კი ბოლო თხუთმეტი წუთითღა შევიდა მოედანზე და გადამწყვეტი პენალტი გაიტანა. როგორც მიმომხილველები ვარაუდობენ, ტოტი უკრაინის წინააღმდეგ ძირითადში იქნება.

პაპუნა კვიდა

მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA
ერთიანული ბილიარდი

გიო ახვლედიანის სვეტეული

გოლი, გოლი მინდა, ხვედელიძე!

რუსის მსაჯი ივანოვი და გრემ პოლი შინისკენ გაისტუმრეს.

სულ კი თოთხმეტი მსაჯი გამოუშვიათ.

შეცდომა ამ ჩემპიონატზე თოთხმეტზე მეტი იყო, თუმცა შეცდომების გამოდევნება ხეირს არ მოიტანს. შეცდომა მკვდარი საქმეა ფეხბურთში. თამაშს უკან ხომ ვერ გადაახვევ.

შეცდომები ადრეც იყო, ოღონდ, ამდენი ტელეკამერა არ იყო და ხალხიც ასე არ მიგვეზებოდა. მსაჯის შეცდომა ფეხბურთის ნაწილია.

ივანოვი ყვითელი ბარათების გამო გაისტუმრეს, ბევრი მოუვიდაო, პოლი კი, რომელიც ფინალის განსჯის რეალური კანდიდატი იყო, შიმუნიჩის სამ ყვითელ ბარათს ემსხვერპლა.

ამ ჩემპიონატზე საქმე მსაჯების შეცდომებში კი არ არის, არამედ რაღაც მოულოდნელ გადაწყვეტილებებში.

იმავე პოლმა ხორვატების კარში პენალტი დანიშნა, მაგრამ ორი უნაღდესი პენალტი ვეღარ დაინახა. დანახვაც არ არის, ალბათ მშვენივრადაც დაინახა. მსაჯები ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში ყველაფერს ხედავენ. ვალენტინ ივანოვმაც არ დანიშნა პენალტი შვეიცარიელების კარში და, იცით, რა თქვა ტელევიზორში? ხელი იყოო, ოღონდ პენალტი არაო. გასაგებია, ოღონდაც, ბურთი პირდაპირ და ალალად შედიოდა კარში.

ამიტომ ამ მსაჯებ-მსაჯობისა ვერ გავიგე და არც ვაქცევ ყურადღებას.

ამდენი სულელური პენალტი ერთად იშვიათად მინახავს.

რომ დაიწყო, ყველანი ამბობდნენ, არ ნიშნავენ, არ ნიშნავენო და მერე ისეთი დანიშვნა დაიწყეს და პარალელურად ისეთი არდანიშვნა გააგრძელეს, რომ ვეღარაფერს გაუგებ.

პენალტის დანიშვნა დღევანდელ ფეხბურთში ავარიასავითაა. ხან შენი ბრალია, ხან საერთოდ არ არის შენი ბრალი, მაგრამ მანქანა მაინც გასაკეთებელია.

ხო, ერთი ახალი ამბავი ის არის, რომ გადამწყვეტ მომენტებში პენალტებით წაგებული ინგლისი გუშინ მთელ დღეს პენალტებს ურტყამდა სავარჯიშო მოედანზე. ყველა გაუტანიათ ჯერარდს და ბექემს, რაც ასევე არ არის გასაკვირი. პენალტებით გამოვარდნა ინგლისელთა ისეთივე ტრადიციად ჩამოყალიბდა, როგორც ტაუერის ყვავების შოტლანდიიდან ჩამოყვანა, ანდა ის, სადილობას რომ ჩაის დალევას უწოდებენ.

ორი წლის წინ, პორტუგალიამ ინგლისი პენალტებით დაითხოვა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალიდან. მაშინ უეინ რუნიმ ფეხი მოიტეხა, რიკარდუ კი ეროვნული გმირი შეიქნა. ეუსებიოც კი ტიროდა. ყველას ახსოვს, ხელშეშველი რომ ჩადგა... ახლაც თუ ასოცი წუთი და მთელი ამბავი, ჰა? კაი თამაში კი იქნება, ბოლოს და ბოლოს, ამ ინგლისმაც ხო უნდა ითამაშოს რაღაცა. ერიკსონი ისეთ კარგ ხასიათზეა: თავის ტაქტიკურ ნახაზებს იცავს, წიგნზე კონტრაქტი გაუფორმებია და საერთოდ... მაგრამ, ინგლისმა ხომ უნდა ითამაშოს ერთხელ? ისე კიდევ გასაგებია, ოფლი არ გამოსვლიათ და რვა გუნდში შეძვრნენ. სულ ჭაპანწყვეტა, დრამები, დაუვიწყარი თამაშები... ახლა კიდევ, არაფერი და იქ არიან. ისე, წინა მსოფლიო ჩემპიონატზეც ასე იყო, იარეს იარეს და ათკაციან ბრაზილიასთან ვერ შეუტიეს. სიმენი კი ტიროდა, რა გატირებს კაცო, დაიწიე ნაბიჯით უკან და მორჩა...

როგორც ოთხი წლის წინ სიმენის იმედი არ იყო და ორი წლის წინ ჯეიმსისა, ახლა რობინსონის იმედი არ არის. შეუმჩნევიათ: პორტუგალიელები ამბობენ, სუსტი წერტილი მაგ გუნდში მეკარეაო. რობინსონი კარგი მეკარეა, მაგრამ პირველი კარგი ბურთი ეკვადორთან თამაშში მოიგერია და ისიც ახლო კუთხეში.

მე მაინც მგონია, რომ ამ ჩემპიონატს ან დაანგრევს, ან ააშენებს გერმანია — არგენტინის თამაში. პორტუგალია — ინგლისი ძალიან საცქერი იქნება, მაგრამ გარდამტეხი მაინც გერმანია — არგენტინაა.

ამერიკელებს მონდომებიათ, ჩვენი გუნდი კლინსმანმა გაწვრთნასო.

არ ვიცი, ეს როგორ გამოვა. კლინსმანი ამერიკაში კი ცხოვრობს, მაგრამ გერმანიის ნაკრებიდან ჯერ ხომ არ წავა?!

არგენტინასთან თამაშისთვის კლინსმანს ვარჯიშობის და დასვენების ალტერნატიული მეთოდები გამოუყენებია. მშვილდისრის სროლაც კი მოუხმარია. მე რატომღაც ჟოაო სალდანია გამახსენდა. იმან იცოდა ხოლმე უბრალო რაღაცეებისგან საუცხოო განწყობის და მზადყოფნის შექმნა.

აბა, თქვენ თუ იცით, ვინ შეეხო ამ ჩემპიონატში ბურთს ყველაზე მეტჯერ?

არ არის ძნელი გამოსაცნობი:

ხუან რომან რიკელმე.

ჯამური ოდენობა: 399.

ეს ერთი მხრივ შთამბეჭდავია, მეორე მხრივ? დასაფიქრებელი მიხაელ ბალაკის ფონზე. კაიბიჭური გარეგნობის არგენტინელი მაესტროს ხელში, უფრო სწორად, ფეხში, მეოთხედფინალის საიდუმლოა შენახული. მეოთხასე შეხება ალბათ ძალიან ჩვეულებრივი იქნება, მერე კი ვნახოთ.

ისევ მსაჯებს მივხედოთ, პორტუგალია რომ ინგლისს არგენტინელი ჰორაციო ელიზონდო მსაჯობს. მის ბიოგრაფიაში წერია, რომ საქმისგან თავისუფალ დროს, სატრფიალო ლექსებსა წერს. საქმიდან თავისუფალ დროს პოეტობა არ არსებობს: პოეტი ან ჯიგრით ხარ და ყოველთვის, ან არა. ჰოდა, თუ ელიზონდო პოეტია, მაშინ პორტუგალიური მელანქოლია და ის განთქმული სოდადი (მხოლოდ პორტუგალიური სიტყვაა და უიმედობის წყნარსა და მკრთალ სამარადჟამო განცდას აღნიშნავს), ვინ იცის, როგორ აირკეკლოს მის შემოქმედებაში.

- ეს მაშინ, როცა ჩვენ ვუფრთხით უეინ რუნის, რომლის გადარევაც გვინახავს. რუნიმ ევრო 2004-ზე გოლები კი გაიტანა, მაგრამ აქ ჯერ არ გაუტანია. ჰოდა, მისი სიბრაზე ცნობილია და გატანის წყურვილიც გუშინ სახალხოდ გამოაცხადა: გოლი, გოლი, მინდა ხვედელიძეო, დასძახა.

მეტიც, მაგის ხნისა რომ ვიქნები, რონალდოს რეკორდი დამხობილი უნდა მქონდესო.

მოკლედ, რუნისი საფრთხილო კაცია. თუ ვერ გაიტანა და, რასაც უნდა ველოდოთ, ვიცით.

ხუმრობის იქით კი, რუნისი მართლა მაგარი ბიჭია.

მე კიდევ, ასევე დავიძახებდი, გოლი მინდა, ხვედელიძე-მეთქი, რადგან რაც მეჯავრება დიდი შეჯიბრებების პლეი ოფებში, პენალტებია, მანამდე კი ფრთხილი დამატებითი დროები. მკლავს ეს ფრთხილი დამატებითი დრო. ყველანაირ მუღამს მინადგურებს. ჯერ ისედაც რა დარჩა, რა ვნახეთ და ახლა კიდევ, სიფრთხილეები.

გახურდეს თავზეხელაღებული ფეხბურთი!

მომბეზრდა ამათი ტაქტიკოსობა.

ბრაზილია — საფრანგეთი. აი, სად ჩავიკვნეტ თითებს. ეგეთი ცნობილი სანამცხვრე ქსელია, „კალერი“ (მახვილით ი-ზე).

იქ არის ნამცხვრები, თუ არის. იფ...



მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
SLOT POKER CLUB VEGA
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

ფალშ სტარტი

ასე დაარქვა იტალიურმა პრესამ „კალჩოპოლიდ“ წოდებულ საფეხბურთო სკანდალში ეჭვმიტანილთა სასამართლოს პირველ დღეს. მიზეზი: პირველმა დღემ მხოლოდ ის მოიტანა, რომ სასამართლოს ნამდვილი პირველი დღე 3 ივლისისთვის გადაიდო. 3 ივლისი ორშაბათსაა.

რომში, „სტადიო ოლიმპიკოზე“ პროცესი სამი საათის დაწყებული იყო, როდესაც ტრიბუნალის შეფმა ჩეზარე რუპერტომ სერია B-ს ხუთ გუნდს თხოვნა დაუკმაყოფილა და მოსამზადებლად დღეები დაუმატა. ეს კლუბები გახლავან „ბოლონია“, „ლეჩე“, „ტრევიზო“, „ბრეშა“ და „მესინა“, რომელთაც „მოჯის სისტემაში“ მონაწილეობა ედებათ ბრალად.

„ჩვენი დღევანდელი გადაწყვეტილება ყველას წაადგება“ — თქვა რუპერტომ მას მერე, რაც ყველანი შინ გაუშვა. შეგახსენებთ, რომ უპირველეს ყოვლისა, ბრალი ედებათ „იუვენტუსს“, „მილანს“, „ლაციოს“ და „ფიორენტინას“, მათთან ერთად კი 26 ადამიანს. ვერდიქტს 9 ივლისამდე ელიან.

პაპუნა კედია



ჯანლუკა, შენ არ მოკვდები

ჯანლუკა პესოტოს უამრავი ადამიანი ამოუდგა მხარში „ფორცა პესო!“ — ეს გამამხნევებელი შეძახილი ალესანდრო დელ პიეროს საინტერტოტო ვებგვერდიდან არის. ალექსის საიტს მეგობრის დიდი ფოტო ამშვენებს. დელ პიერო და ჯანლუკა ძამბროტა გერმანიიდან სასწრაფოდ აიბარგნენ და ტურინში გადაფრინდნენ, რათა მისულიყვნენ იქ, სადაც უნდა ყოფილიყვნენ — საავადმყოფოში! პესოტოს მდგომარეობა ჯერ კიდევ მძიმეა, წამში ყველაფერი შეიძლება ყირაზე დადგეს, თუმცა უცაბედ გართულებას თუ გადარჩება, გამოჯანმრთელდება, რადგან ტრავმების სიმძიმის გათვალისწინებით ნელ-ნელა ყველაფერი სასიკეთოდ მიდის.

ქირურგი ანტონიო სოლინი: „ჯანლუკა პესოტო გუშინ ღამით სიკვდილს გადაურჩა, ოპერაციამ მას წამებში მიუსწრო“.

შეგახსენებთ, რომ პესოტო 11 წლის განმავლობაში თამაშობდა „იუვენტუსში“, გასული სეზონის ბოლოს კი ფეხბურთელობისთვის თავის დანებება გადაწყვიტა. ამას დაემთხვა სკანდალი იტალიურ ფეხბურთში. სკანდალის გამო კლუბში რამდენიმე თანამდებობა გათავისუფლდა და ერთი, გუნდის მენეჯერის პოსტი, მას შესთავაზეს.

დრამატულ მოვლენათა დღეს პესოტო „იუვენტუსის“ ოფისში ფანჯრიდან გადახტა. ფანჯარა, რომლიდანაც ყოფილმა მცველმა თვითმკვლელობა სცადა, 15 მეტრის სიმაღლეზეა. როგორც ირკვევა, ის ფანჯრების ქვეშ დაყენებულ მანქანებს დაეცა.

„ლუკა, ჩემთვის ყოველთვის სამაგალითო ადამიანი იყავი და ახლაც შენს ჩემ გვერდით დაბრუნებას ველი“ — წერს საიტზე დელ პიერო.

ტურინში გაფრენა ვერ მოახერხა ჯანლუიჯი ბუფონმა, მაგრამ მეგობარს გერმანიიდან, „სკუადრა აძურას“ ბაზიდან შეაშველა ხმა.

„ახლა ფეხბურთზე ლაპარაკი არ შემიძლია. ფიქრებით ჩემს მეგობართან ვარ, რომელთან ერთადაც უამრავი ბრძოლა გადამხდენია. სულ ლუკაზე, რეანასა და ბავშვებზე ვფიქრობ. ძამბროტა და დელ პიერო წავიდნენ, რათა კარგი ამბებით დაგვიბრუნდნენ. ყოველ წამს ახალ ცნობას ველოდები, სულ ტურინში ვრეკავ. ახლა ლუკას ცხოვრებაში ყველაზე დიდი მატჩი მიმდინარეობს და ის, როგორც ნაღდი მებრძოლი, ამ მატჩს მოიგებს. მისებრ პრინციპულ ადამიანს წაგება არ შეუძლია, ჩვენ კი მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალს მისთვის ვითამაშებთ“.

გერმანიიდან ტურინს გაემგზავრა მარჩელო ლიპის ასისტენტი, ყოფილი იუვენტუსელი მცველი ჩირო ფერარაც. საყოველთაოდ იკვეთება, რომ პესოტო ძალიან კარგი ადამიანია და ყველანი, მისი თანაგუნდელები თუ მეტოქეები, გულით უჭერენ მხარს. კერძოდ, საფრანგეთის ნაკრების ბანაკიდან მეგობრის ოჯახს ხმა მიაწვდინეს ლილიან ტურამმა, დავიდ ტრეზეგემ და პატრიკ ვიეირამ.

„ჯანლუკა უბრალოდ, კარგი ადამიანია და „იუვეში“ ყოფნის წლებში მასთან საუცხოო ურთიერთობა მაქვს“ — თქვა ტურამმა.

რაა გასაკვირი, რომ ტურინის საავადმყოფოში მივიდა იანვარში, „იუვენტუსიდან“ „კალიარიში“ გადასული მეკარე ანტონიო კიმენტი და მეტიც, გუშინ იქ თვით ლუჩანო მოჯი იყო, კაცი, რომელიც მთელი იტალიური საფეხბურთო სკანდალის მიზეზი გახლავთ. მოჯიმ თქვა, რომ პესოტოსთვის ლოცულობს, ოღონდ არ იცის, ეს დრამა სკანდალთან რაიმე შუაშია, თუ არა.

უკრაინის ნაკრების ბანაკიდან პესოტოს თანადგომა ანდრეი შევჩენკომაც გამოუცხადა: „ის ყველას უყვარს, თანაგუნდელსაც და მეტოქესაც, რადგან დიდებული ადამიანია“ — თქვა შევჩენკომ.

„ლა რეპუბლიკამ“ კი გამოაქვეყნა ჯანლუკა პესოტოს მეუღლის, რეანას ნაუბარი:

„სისულელეა, თითქოს ჯანლუკა წლობით მიღებული დოპინგისგან ყოფილიყო ავად. ის დეპრესიაში იყო, ბოლოხანს ველარც იძინებდა და ეჭვობდა, რომ შეცდა, ფეხბურთის თამაშს თავი რომ დაანება. სისულელეა ისიც, რომ მისი ქცევა ჩემთან ჩხუბით იყო გამოწვეული. მას წელიწადნახევარი არ დაუსვენია და მინდოდა, სადმე გამეყვანა. ყველაფერი მოგვარებული გვქონდა, ბავშვებთან ერთად სამი დღით ლიაგელაში მივდიოდით, მაგრამ საქმე გამოუჩნდა და ველარ მოდიოდა. ჩვენი ოჯახური კამათი მხოლოდ ამით იყო განპირობებული. ის განიცდიდა ფეხბურთისთვის თავის დანებებას და „იუვეს“ ბედს. მან სხვა გუნდებში გადასვლაზე ხომ უარი განაცხადა“.

პაპუნა კედია

ნეტავ, რუნი რუნი ოიყოს

მარადონამ, ისიც მარადონაა

მარადონას აზრით, უეინ რუნის პიტერ კრაუჩი აუცილებლად სჭირდება

არგენტინული და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდამ დიეგო მარადონამ უეინ რუნი შეაქო. მან 20 წლის ინგლისელი საკუთარ თავსაც კი შეადარა და თქვა, თუ ყველაფერი სათანადოდ აეწყო, „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდს ძალიან დიდი მომავალი აქვსო.

„უეინი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე რომაა, უდავოა. მე მას რონალდინიოს, ხუან რომან რიკელმესა და ლეო მესის გვერდით დავაყენებდი. გვარად „რუნინო" რომ იყოს და ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდეს, დარწმუნებული ვარ, არგენტინის ნაკრებში ითამაშებდა. იგი ფენომენია, რომელსაც ყველა თვისება აქვს, რაც დიდ ფეხბურთელად ქცევაში უნდა დაეხმაროს. რუნი ჩემ თავს მაგონებს, რადგან თვითდაჯერებული და ზომიერად აგრესიულია, თანაც სურს, ბურთი მუდამ მას ჰქონდეს. იგი ფიზიკურად ძლიერი და ტექნიკურია. ყოველთვის ბოლომდე იბრძვის და შეუძლია, მინდორზე საოცრებები აკეთოს, რასაც ვერავინ გასწავლის" — აღნიშნა მარადონამ.

ლეგენდარული არგენტინელის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ რუნიმ ტრავმა ახლახან მოიშუშა, მას შეუძლია, ამ მუნდიალზევე გამოიჩინოს თავი და ინგლისს დიდი წარმატება მოუტანოს.

„ჩემი აზრით, სვენ გორან ერიკსონი ზედმეტად ფრთხილობს. მან ეკვადორთან მხოლოდ ერთი ფორვარდით ითამაშა. მინდორზე კი პიტერ კრაუჩიც საჭიროა. მისი და უეინის წყალობით ინგლისელები ბევრი გოლის გატანას შეძლებენ. რუნისთვის კი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მდგომარეობაა. ახალგაზრდა ასაკში მისგან უკვე ძალიან ბევრს ელიან. სულ ყურადღების ცენტრშია. მეტოქეები ცდილობენ, პროვოკაციაზე წამოაგონ, იქით კიდევ ჟურნალისტები არ ასვენებენ. მან უნდა ისწავლოს ამ ყველაფერთან გამკლავება, რაც რთულია" — დასძინა ბოლოს დიეგო.

გიორგი კაკაბაძე

კაკა „რეალში" მაინც ითამაშებსო, გვარწმუნებენ ესპანელები

კალდერონი ისევ კაკანებს

მერე რა, რომ კონტრაქტი გააგრძელა?

მადრიდის „რეალის" პრეზიდენტობის ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი რამონ კალდერონი ირწმუნება, რომ მომავალი სეზონიდან ბრაზილიელი პლეიმეიკერი რიკი კაკა „სამეფო გუნდში" ითამაშებს. არადა, „მილანის" ვარსკვლავმა ცოტა ხნის წინ „როსონერისთან" კონტრაქტი 2011 წლამდე გაახანგრძლივა. მაგრამ კალდერონს ეს არ ანაღვლებს და არც ის აშინებს, რომ იტალიელებმა ოფიციალურად განაცხადეს, თუ ვინმე კაკასთან მოლაპარაკების წამოყებას შეეცდება, მით უმეტეს ჩვენს ზურგს უკან, მყისვე ფიფას ვაცნობებთ, რათა სათანადო ზომები მიიღოსო.

„ახლა, როცა „მილანთან" კონტრაქტი გავახანგრძლივე, იმედია, ჭორები ჩემი „რეალში" გადასვლის შესახებ ჩაცხრება. კლუბის გამოცვლის მიზეზი არ მაქვს, აქ ბედნიერი ვარ" — თქვა კაკამ ახალი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ.

რამონ კალდერონი: „თუ მე პრეზიდენტი გავხდი, ასპროცენტიან გარანტიას ვიძლევი, რომ კაკა მომავალი სეზონიდან „რეალში" ითამაშებს. ხოლო თუ არჩევნებს წავაგებ, მაშინ ახალ პრეზიდენტს ვეტყვი, როგორ განახორციელოს ეს ტრანსფერი. მერწმუნეთ, კაკას „სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაში უნდა".

აღსანიშნავია, რომ კალდერონი ამომრჩეველთა ნდობის მოპოვებას სხვა ხმამაღალი განცხადებებითაც ცდილობს. იგი ირწმუნება, რომ მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში, „რეალის" მწვრთნელი ფაბიო კაპელო გახდება და „ჩელსიდან" ჰოლანდიელ გარემარბ არიენ რობენსაც იყიდის.

გიორგი კაკაბაძე

ჩაეცვა მიხელს ყვითელი მაისურა

დუიკოვიჩი ბრაზილიას დღემდე ვერ ინელებს

განის ნაკრების სერბი მწვრთნელი რატომირ დუიკოვიჩი თანამდებობის დატოვებას აპირებს. გეხსომებათ, აფრიკელთა საკმაოდ სიმპათიური გუნდი მერვედფინალში გავიდა და იქ მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ბრაზილიის ნაკრებთან 0:3 დამარცხდა.

„ფეხბურთის ფედერაციის შეფებმა ჩემთან კონტრაქტის გახანგრძლივება გადაწყვიტეს, მაგრამ მე ვთვლი, რომ ამ ნაკრებთან მუშაობა დავასრულე. ალბათ, კარიერას სხვაგან გავაგრძელებ" — აღნიშნა დუიკოვიჩმა სერბულ „ვეჩერნიე ნოვოსტისთან" ინტერვიუში.

განა გერმანია 2006-ზე მერვედფინალს შერჩენილი ერთადერთი აფრიკული გუნდი იყო. რატომირ დუიკოვიჩს კი ბრაზილიასთან თამაშის ბოლოს მსაჯმა სამწვრთნელო სკამი დაატოვებინა — სერბმა არბიტრს აგინა და იმიტომ.

„განსაკუთრებული არაფერი მითქვამს, უბრალოდ, მსაჯს ვუთხარი, რომ ბარემ, პირდაპირ ჩაეცვა ყვითელი მაისურა. ხალხიც მიხვდებოდა, რომ მოედანზე 12 ბრაზილიელი იყო და არავინ არაფერს გააპროტესტებდა" — ამბობს დუიკოვიჩი. სერბი მსაჯს ადრიანოს მიერ თამაშის წესების დარღვევით გატანილი გოლის მერე აუხირდა, თამაშგარე იყოო.

რატომირ დუიკოვიჩი ჯეელობაში მეკარე გახლდათ, ხოლო მწვრთნელად ვენესუელის, ბირმისა და რუანდას ნაკრებებში მუშაობდა. განას 2004 წლის მერე თავკაცობს.

„ჩემ გუნდს მერვედფინალიდან დათხოვნა არ ეკუთვნოდა. ცუდი კი ისაა, რომ მსაჯები ყველგან და ყოველთვის ბრაზილიისკენ არიან" — სერბმა სლოვაკ ლუბოშ მიხელს გადააბრალა ბრაზილიასთან წაგება.

ლადო ხოფერიძე

მილანის „ინტერმა" უარყო ჭორები ადრიანოს შესაძლო გაყიდვის შესახებ. ეს მას მერე გახდა საჭირო, რაც მადრიდის „რეალის" პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ლორენცო სანსმა განაცხადა, რომ თუ არჩევნებში გაიმარჯვებს, ბრაზილიელ ფორვარდს „სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაიყვანს. სანსის თქმით, შეთანხმება უკვე მიღწეულია, თუმცა „ნეროაძურის" ტექნიკურმა დირექტორმა მარკო ბრანკამ მოკლედ განაცხადა — ადრიანო ხელშეუხებელიაო.

„ინტერის" მფლობელი მასიმო მორატი: „არანაირი შეთანხმება არ არსებობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ „რეალის" რამდენიმე ფეხბურთელით დაინტერესებულნი არ ვართ, ხოლო მადრიდელები ჩვენი მოთამაშეებით".

ამის მიუხედავად, მითქმა-მოთქმა მაინც გრძელდება. ამბობენ, ადრიანოს რონალდოში უპირებენ გაცვლას, რადგან მორატის ძალიან უნდა, „კიჭა" „ინტერში" დააბრუნოსო.

ამასობაში, ალვარო რეკობას „ნეროაძურისთან" კონტრაქტის ვადა გაუვიდა და დიდი შანსია, ურუგვაელმა ბოლოს და ბოლოს კლუბი გამოიცვალოს. ამაზე უკვე მორატიც ალაპარაკდა, რომელიც არასდროს მალავდა, რომ რეკობა მისი ერთ-ერთი საყვარელი მოთამაშეა. თუმცა 30 წლის ფეხბურთელს რობერტო მანჩინი იშვიათად ენდობა. თანაც ახალ კონტრაქტზე მხარეები ჯერ ვერ შეთანხმდნენ.

„არ შემიძლია, დავმალო, რომ რეკობასადმი დიდი სიმპათიები მაქვს, მაგრამ არ ვიცი, რა აჯობებს მისთვის — დარჩეს აქ და ძირითადი შემადგენლობისთვის ბრძოლა განაგრძოს, რაც ძნელი იქნება, თუ სხვაგან გადავიდეს, სადაც სულ ითამაშებს და კლუბს გამარჯვებებში დაეხმარება. პირადად მე ძალიან გამიხარდება, თუ ალვარო მუდამ ითამაშებს, მაგრამ ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ეს „ინტერში" მოხდება" — დასძინა მორატიმ.

ძოკი კანდელაკი

მორატიმ რეკობა მოიძულა

ადრიანო ხელშეუხებელია, რონალდო?

ფიფა? არა, უეფა!

ბეკენბაუერი უენობას უჩივის

მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა, რომ ფიფას პრეზიდენტობით დაინტერესებული არ არის. აღსანიშნავია ისიც, რომ ფიფას მოქმედმა პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა ცოტა ხნის წინ თქვა — ბეკენბაუერს არ უნდა და არც შეუძლია ჩემპიონობაო.

„პრინციპში იგი მართალია. ამ რთული საქმისთვის დრო არ მაქვს და ენაც პრობლემაა. გერმანულის გარდა, ცოტა ბავარიული და ინგლისური ვიცი. ამ პოსტზე კი ისეთი ნიჭიერი ადამიანი უნდა მუშაობდეს, როგორიც ბლატერია" — შეუთვალა ბეკენბაუერმა.

მერე 1974 წელს ფეხბურთელის და 1990 წელს მწვრთნელის რანგში მსოფლიოს ჩემპიონატის მომგებმა ბეკენბაუერმა დასძინა, რომ უეფას პრეზიდენტობაზე უარს არ იტყოდა. ოღონდ ჯერ ლენარტ იუჰანსონის გადაწყვეტილებას უნდა დაველოდო, დარჩება თუ არა, პოსტზეო.

ძოკი კანდელაკი

კაფუმ რეკორდები გაკაფა

AFP

ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატებზე ზედიზედ იგებს მატჩებს. ახლა პენტაკამპეონთა მონაგარი მიჯრით 11 მოგებული თამაშია — შვიდი 2002-ის მუნდიალზე, ოთხიც კიდევ გერმანია 2006-ზე.

განასთან მერვედფინალურ მატჩში ბრაზილიამ ორასგოლიანი საიუბილეო ზღვარი გადალახა. ნაკრების მეორასე გოლი ადრიანომ შეაგდო, ზე რობერტომ კი ეს არ იკმარა და აფრიკელთა მეკარე რიჩარდ კინგსონს თავიანი გოლი გაუტანა — ნაკრებისთვის რიგით 201-ე.

შეგირდებს არც კარლოს ალბერტო პარეირა ჩამორჩა. იგი ბრაზილიას 1994 წელსაც წვრთნიდა და მუნდიალებზე ჩატარებული მატჩების რაოდენობით (19) მეოთხე ადგილზეა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში.

მარკოს ევანჯელისტა დუ მორაეში, ანუ უბრალოდ, კაფუ ჰქვია იმ ლეგენდარულ კაცს, რომელსაც პენტაკამპეონთა მაისურით სხვებზე მეტი თამაში (19) ჩაუტარებია მუნდიალებზე. აქამდე ბრაზილიური რეკორდი (18) კლაუდიო ტაფარელს ეკუთვნოდა. საერთოდ კი „უხუცესებში" გერმანელი ლოთარ მათეუსი ლიდერობს. მას მსოფლიოს ხუთ ჩემპიონატზე 25 მატჩში მიუღია მონაწილეობა. 36 წლის კაფუსთვის ეს უკვე რიგით მეოთხე მუნდიალია და აქამდე მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ საფეხბურთო ტურნირებზე ყველა ბრაზილიელ მოთამაშეზე მეტი, 16 მატჩი აქვს მოგებული. პენტაკამპეონთა ყვითელი მაისურაც 149-ჯერ მოურგია. მოკლედ, აბსოლუტური რეკორდსმენი გახლავთ სეუ კაფუ...

AFP

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ირკვევა, იტალია — ავსტრალიის მერვედფინალურ მატჩს, კერძოდ კი დამატებულ წუთებზე დანიშნულ საკამათო პენალტს ადამიანის მკვლელობაც მოჰყვა...

დარჩი, ბებერო

არაგონესის კიდევ სჯერათ

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელობა ლუის არაგონესს აღარ უნდა. მხცოვანი სპეციალისტის კონტრაქტი დღეს კარგავს ძალას და ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია „ელ საბიოს" ხელშეკრულების განახლებას სთავაზობს, თუმც მოხუცი უარზეა.

საქმე კი აი, რაშია: მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დონ ლუისმა „მარკასთან" ინტერვიუში განაცხადა, თუ ესპანეთმა სულ ცოტა, ნახევარფინალამდე ვერ გააღწია, თანამდებობას უყოყმანოდ დატოვებო. ნახევარფინალს ვინ ჩივის, არაგონესის ბიჭებმა მერვედფინალიდან დატოვეს მუნდიალი.

„ყველაფერში მე ვარ დამნაშავე. ფრანგებთან სხვანაირად უნდა გვეთამაშა" — განუცხადა არაგონესმა ჟურნალისტებს მადრიდში დაბრუნებისთანავე.

„ბარახას" აეროპორტში საფრანგეთთან დამარცხებულ ესპანეთს უამრავი ქომაგი დახვდა. ფანები „რეი რაულ" (მეფე რაული) და „ლუის კამპეონ"-ს გაჰყვიროდნენ. მერვედფინალში წაგებამ ხალხს, რა თქმა უნდა, გული ატკინა, მაგრამ ესპანეთში, როგორც ჩანს, მწვრთნელის კიდევ სჯერათ.

ლადო ხოფერიძე

AFP

ლუის არაგონესი: ნაკრებში რაღა დამედგომება

მკვლელი მცველი

გროსოს პენალტმა 45 წლის ტაილანდელი იმსხვერპლა

93-ე წუთზე, როდესაც ფაბიო გროსო ლუკას ნილს წამოედო და დაეცა, ტაილანდში ორმა ადგილობრივმა ფანმა ჩხუბი წამოიწყო. ერთ-ერთმა, რომელიც „სკუადრა აძურას" ქომაგი გახლდათ და მსაჯის გადაწყვეტილებას ამართლებდა, საპირისპირო აზრის მქონე გულშემატკივარს დანით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. გარდაცვლილი 45 წლის რაბიბ ლუკხანი აღმოჩნდა, ხოლო დამნაშავეს, რომლის ვინაობაც ჯერჯერობით უცნობია, პოლიცია ეძებს.

თავად გროსო კი, რომელმაც ეს ვისთვის საბედისწერო და ვისთვის სასიხარულო პენალტი მოინადირა, დარწმუნებულია, რომ თამაშის წესების დარღვევა იყო და მსაჯმა თერთმეტმეტრიანი სამართლიანად დანიშნა.

„ნილმა წესები დაარღვია, პენალტი ნამდვილად იყო. ეს პატარა ეპიზოდი ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემ კარიერაში. კაცნაკლულნი ვთამაშობდით, დამატებითი დროში კი ძალიან გაგვიჭირდებოდა, მაგრამ ამ პენალტის წყალობით მოვიგეთ. არ ვიცი, იმ გარღვევისთვის ძალა საიდან მოვიკრიბე, თუმცა მეტოქის საჯარიმოსკენ რომ წავედი, მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, ბურთი ვინჩენცო იაკინტასთვის მიმეწოდებინა, მაგრამ კონტაქტი ვიგრძენი და წავიქეცი. ძალიან ბედნიერი ვიყავი და ახლაც მიხარია, რადგან კიდევ უფრო მეტად მივხვდი, რომ ნაკრებისთვის მნიშვნელოვანი ვარ" — განაცხადა „პალერმოს" მცველმა, რომელიც მუნდიალის მერე, ალბათ, „ინტერში" გადავა.

გიორგი კაკაბაძე

ვარსკვლავები დავობენ

პარლეს პუიოლი: ანრიმ ყველაფერი გააფორმა

ტიერი ანრი: თუ ასეა, ბოდიშს რატომ მიხდი?

პარლეს პუიოლი ტიერი ანრის სიმულანტობაში ადანაშაულებს. მისი აზრით მას ლონდონის „არსენალის" ფორვარდთან ორთაბრძოლისას წესები არ დაურღვევია და ჯარიმა, რომელსაც საფრანგეთის მეორე და ფაქტობრივად, გადამწყვეტი გოლი მოჰყვა, არ ყოფილა.

„ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. მუნდიალიდან გამოვარდნა ორმაგად მწყინს, როდესაც მახსენდება, რამხელა იმედი მივეცით ფანებს, რომლებსაც ჩვენი სჯეროდათ. ნაკრების მეც მწამდა და საფრანგეთს არც არაფრით ჩამოუვარდებოდით, მაგრამ... ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ჯარიმა, რომელსაც პატრიკ ვიეირას გოლი მოჰყვა, არ იყო. ანრი ვარსკვლავია და თან ჭკვიანი ფეხბურთელი. მან ყველაფერი კარგად გააფორმა და მსაჯიც პროვოკაციაზე წამოაგო" — თქვა პუიოლმა.

ცხადია, ფრანგი ფორვარდი სულ სხვა აზრზეა: „სიმულაცია არ ყოფილა. ხალხს ყველაფრის თქმა შეუძლია, მაგრამ ერთ-ერთი ნაკრები, რომელიც მუნდიალზე არ სიმულანტობს, ნამდვილად საფრანგეთია. ნახეთ ვიდეოჩანაწერი, ბურთი ლამის უკვე მარიანო პერნიას ჰქონდა, მაგრამ პუიოლმა რატომღაც ბლოკი ჩამიდგა. არადა, ეს საჭირო არ იყო. თანაც, მერე ბოდიში მომიხადა და, თუ წესი არ დაურღვევია, რატომ? კალათბურთში ეს კარგი ბლოკირება იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ფეხბურთს ვთამაშობთ. გარდა ამისა, მე სიმულანტი არ ვარ და ეს ყველამ იცის".

კოკი კანდელაკი





ADIOS ARGENTINA — ამის დაწერის მორალური უფლება რომ გაგიჩნდეს, ჯერ არგენტინა უნდა დაამარცხო. თუმცა გერმანელი ძიაკაცი უფლებამოვალეობებს არ დაგიდევთ და გერმანული დროშის ფერებში გვამცნობს თავის და სრულიად ბუნდესსურვილს.

სხვაფრივ კი, გუშინ-გუშინწინ გერმანია ფეხბურთისგან ისვენებდა და ქვემოთ ბრაზილიელ ჟუნინიო პერნამბუკანოს ცოლთან და ანგელოზ ბალღებთან ხედავთ. ვარჯიშზე ხალისობს პორტუგალიელთა ბრაზილიელი გამწვრთნელი და მეოთხედფინალში გამყვანი სეუ სკოლარი. აქეთ რაიმონ დომენეკი, ალბათ, თავის შეგირდთაგან ფრანკ რიბერის თუ უსტვენს, შე კაი დედმამიშვილო, რა დროს ველო და პედლებია, ფეხები ბრაზილიისთვის გაამზადეო.

ზემოთ საფოტოვედ გაღიმებულ ჭაღარაწვერიან კაცს ხომ სცნობთ? ჰერ გერდ მიულერია, 1970 და 74 წლებში ორ მუნდიალზე 14 გოლი რომ შეაგდო და ამ საქმეში ფიფას ახალი ოქროს ბუცი აიღო. ფიფამ ახლახან ახალი ოქროს ბუცი ჩამოასხა და ჰერ გერდის ბრაზილიელი მჯობნის რონალდოსთვის გაამზადა.



სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში						
		30 ივნისი						
19:00	408	გერმანია-არგენტინა	2.70	3.0	2.50	1.44	1.29	1.38
23:00	410	იტალია-უკრაინა	1.58	3.40	6.20	1.07	1.25	2.19
		1 ივლისი						
19:00	409	ინგლისი-პორტუგალია	2.20	3.00	3.30	1.26	1.32	1.57
23:00	412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.75	3.30	4.70	1.14	1.27	1.93
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		2 ივლისი						
20:00	450	ფრედრიკსტადი-ლინი	2.35	3.20	2.80	1.35	1.27	1.49
20:00	451	ჰამარი-ბრანი	3.10	3.20	2.20	1.57	1.28	1.30
20:00	452	მოლდე-სტაბეკი	2.10	3.30	3.10	1.28	1.25	1.59
20:00	453	ვიკინგი-რუსენბორგი	2.60	3.20	2.45	1.43	1.26	1.38
22:00	454	ვოლერენგა-სანდეფიორდი	1.55	3.70	5.20	1.09	1.19	2.16
		3 ივლისი						
21:00	455	სტარტი-ტრომსიო	2.00	3.30	3.45	1.24	1.26	1.68
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		2 ივლისი						
20:00	456	ბოდიო გლიმტი-ტრომსდალენი	1.30	4.30	7.50	1.00	1.10	2.73
20:00	457	ბრინი-ალესუნდი	2.55	3.30	2.35	1.43	1.22	1.37
20:00	458	ფოლო-სპარტა ს	2.30	3.40	2.70	1.37	1.24	1.50
20:00	459	ჰიოდი-ჰაუგესუნდი	2.45	3.30	2.55	1.40	1.24	1.43
20:00	460	ჰიონეფოსი-ლოვ ჰამი	1.85	3.40	3.60	1.19	1.22	1.74
20:00	461	კონგსვინგერი-პორს გრენლანდი	1.85	3.50	3.60	1.21	1.22	1.77
20:00	462	მანგლერუდი-მოსი	3.60	3.50	1.85	1.77	1.22	1.21
20:00	463	სტრიომსგოდსეტი-სოგნდალი	1.65	3.50	4.20	1.12	1.18	1.90
		ირლანდია						
		30 ივნისი						
22:45	494	კორკი-დუბლინი	1.35	4.00	7.00	1.00	1.13	2.54
22:45	496	დუბლინი სიტი-ლონგფორდი	2.10	3.10	3.00	1.25	1.23	1.52
22:45	497	სტ.პატრიკსი-სლიგო	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
22:45	498	უოტერფორდი-ბოჰემიანი	3.00	3.20	2.10	1.54	1.23	1.26
		ინტერტოტოს თასი						
		1 ივლისი						
17:30	800	მოსკოვი-მტზ რიპო	1.25	4.60	8.00	1.00	1.08	2.92
18:00	801	ლილესტრიომი-კეფლავიკი	1.20	5.50	8.50	1.00	1.05	3.33
18:30	802	მაკაბი ფთ-ზრინსკი	1.45	3.70	5.60	1.04	1.15	2.22
21:00	803	ფარული-ლოკომოტივი პლ	1.85	3.20	3.60	1.17	1.22	1.69
21:00	804	სოპრონი-კაისერი	2.40	3.10	2.55	1.35	1.23	1.39
21:00	805	ტირასპოლი-ლეხი	3.65	3.20	1.80	1.70	1.20	1.15
		ჩოგბურთი						
		კაცები. უიმბლდონი						
		30 ივნისი						
15:00	746	შტეპანეკი-ფერერო	1.60					2.00
15:00	747	ჯ. ბლეიკი-მირნი	1.40					2.30
15:00	748	ანჩიჩი-ვავრინკა	1.15					4.50
15:00	749	ნალბანდიანი-ვერდასკო	1.15					4.00

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10408	გერმანია-არგენტინა	3.10	1.90	2.90	1.17	1.49	1.14
10409	ინგლისი-პორტუგალია	2.55	2.00	3.75	1.12	1.51	1.30
10410	იტალია-უკრაინა	2.00	2.10	6.30	1.02	1.51	1.57
10412	ბრაზილია-საფრანგეთი	2.10	2.00	5.00	1.02	1.47	1.42

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11408	გერმანია-არგენტინა	3.80	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11409	ინგლისი-პორტუგალია	3.10	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11410	იტალია-უკრაინა	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	7.00
11412	ბრაზილია-საფრანგეთი	2.25	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15408	გერმანია-არგენტინა	3.00	2.80	2.00
15409	ინგლისი-პორტუგალია	3.00	2.80	2.00
15410	იტალია-უკრაინა	3.00	2.80	2.00
15412	ბრაზილია-საფრანგეთი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16408	გერმანია-არგენტინა	1.80	1.80
16409	ინგლისი-პორტუგალია	1.50	2.10
16410	იტალია-უკრაინა	1.22	3.40
16412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.25	2.80

გოლი:ფსვილი-10უ კენტი-2. (0:0 ითვლება ფსვილად)

17408	გერმანია-არგენტინა	1.85	1.95
17409	ინგლისი-პორტუგალია	1.85	1.95
17410	იტალია-უკრაინა	1.85	1.95
17412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.85	1.95

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12408	გერმანია-არგენტინა	1.60	2.00
12409	ინგლისი-პორტუგალია	1.55	2.10
12410	იტალია-უკრაინა	1.50	2.20
12412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.70	1.90

გაიტანს თუ არა ორივე ბუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13408	გერმანია-არგენტინა	1.70	1.90
13409	ინგლისი-პორტუგალია	1.70	1.90
13410	იტალია-უკრაინა	1.90	1.70
13412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.70	1.90

რომელი ბუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე უსრული ჩაითვლება)

14408	გერმანია-არგენტინა	1.80	1.75
14409	ინგლისი-პორტუგალია	1.70	2.20
14410	იტალია-უკრაინა	1.30	2.50
14412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.35	2.30

ვინ დაიფქვებს თამაშს

19408	გერმანია-არგენტინა	1.85	1.85
19409	ინგლისი-პორტუგალია	1.85	1.85
19410	იტალია-უკრაინა	1.85	1.85
19412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.85	1.85

ვინ მოაფქვდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

20408	გერმანია-არგენტინა	1.80	1.80
20409	ინგლისი-პორტუგალია	1.70	1.85
20410	იტალია-უკრაინა	1.55	2.10
20412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.60	2.00

კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო) 10,5

22408	გერმანია-არგენტინა	1.80	1.80
22409	ინგლისი-პორტუგალია	1.95	1.70
22410	იტალია-უკრაინა	1.80	1.80
22412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.90	1.70

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტდეს

ვინ მიიღებს პირველ გაფრთხილებას (ყვ) (ძირ. დრო)				
21408	გერმანია-არგენტინა	1.80	10.00	1.80
21409	ინგლისი-პორტუგალია	1.80	10.00	1.70
21410	იტალია-უკრაინა	2.10	10.00	1.55
21412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.95	10.00	1.60

იძნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)			
23408	გერმანია-არგენტინა	3.00	1.30
23409	ინგლისი-პორტუგალია	3.00	1.30
23410	იტალია-უკრაინა	3.00	1.30
23412	ბრაზილია-საფრანგეთი	2.90	1.32

შემდეგ ეტაპზე გასვლა			
18408	გერმანია-არგენტინა	1.85	1.75
18409	ინგლისი-პორტუგალია	1.50	2.15
18410	იტალია-უკრაინა	1.22	3.50
18412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.30	2.80

ვინ მოაწვდის პირველ აუტს			
18408	გერმანია-არგენტინა	1.80	1.80
18409	ინგლისი-პორტუგალია	1.80	1.80
18410	იტალია-უკრაინა	1.80	1.80
18412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.80	1.80

გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – აღმაშენებლის №39; გარდაბანი – აღმაშენებლის №12

ფორმულა 1. 30 ივნისი

19:00	1003	გამარჯვებული	მონტანი	200.00
19:00	1003	გამარჯვებული	როსბერგი	65.00
19:00	1003	გამარჯვებული	კულტხარდი	80.00
19:00	1003	გამარჯვებული	კლიენი	90.00
19:00	1003	გამარჯვებული	სპიდი	120.00
19:00	1003	გამარჯვებული	ლიუცი	120.00
19:00	1003	გამარჯვებული	ალბერსი	180.00
19:00	1003	გამარჯვებული	ტრული	45.00
19:00	1003	გამარჯვებული	უებერი	50.00
19:00	1003	გამარჯვებული	მონტეირო	150.00
19:00	1003	გამარჯვებული	ბატონი	30.00
19:00	1003	გამარჯვებული	ვილნევი	40.00
19:00	1003	გამარჯვებული	რ შუმახერი	35.00
19:00	1003	გამარჯვებული	ხაიდფელდი	25.00
19:00	1003	გამარჯვებული	მასა	13.00
19:00	1003	გამარჯვებული	მონტოია	12.00
19:00	1003	გამარჯვებული	ფიზიკელა	8.00
19:00	1003	გამარჯვებული	რაიკონენი	5.00
19:00	1003	გამარჯვებული	მ შუმახერი	4.20
19:00	1003	გამარჯვებული	ბარიკელო	35.00
19:00	1003	გამარჯვებული	სატო	220.00
19:00	1003	გამარჯვებული	ალონსო	1.60

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10 — კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46 — მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 — ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50 — მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11
	ჭავჭავაძის გამზირი № 41
	გამსახურდიას გამზირი № 3
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13 — დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი
	მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა
	მელიქიშვილის ქუჩა №15
	ისანი -კახეთის გზატკეცილი — ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141
	მოსკოვის გამზირი №6
ქუთაისი	ცისფერყანწელთა ქუჩა №4
გორი	სტალინის ქუჩა №14
თელავი	ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 21
ოზურგეთი	იოანე პეტრიწის ქუჩა №3
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30
სამტრედია	თამარ მეფის №1
წნორი	სტალინის ქუჩა №1
რუსთავი	შარტავას ქუჩა №17-29
ზესტაფონი	დავით აღმაშენებლის №39
გარდაბანი	დავით აღმაშენებლის №12

— მსოფლიოს ჩემპიონატზე უკრაინის წარმატებას სხვა თუ არა, ჩვენ ნამდვილად ველოდით. მეტიც, დარწმუნებულები ვიყავით, რომ ჯგუფური ეტაპის შემდეგ შინ დაბრუნება არ მოგვიწევდა. თუ საკუთარი წარმატების არ გჯერა, დამეთანხმებით, ვერაფერსაც ვერ მიაღწევ — გვითხრა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **გრიგორი სურკისმა**, რომელსაც გუშინ გერმანიაში შევეხმიანეთ...

გრიგორი სურკისი: იოცნებე, ოღონდ დახარჯე!

— უკრაინა მუდამ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოდა და ძალიან მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენმა მოთმინებამ, გამარჯვებისკენ სწრაფვამ, არ გადავჭარბებ და, ასეთი შთამბეჭდავი შედეგი მოიტანა. დღეს გრიგორი სურკისი უზომოდ ბედნიერი და ამაყია.

— ფიქრობთ, რომ მეოთხედფინალი უკრაინის ნაკრების მაქსიმუმია?

— უკრაინა ჰამბურგის ბრწყინვალე მოედანზე ყოველი სანტიმეტრისთვის თავდადებით თუ იბრძოლებს, ფეხბურთელებმა თავიანთი საუკეთესო თვისებები თუ გამოავლინეს და მწვრთნელის დავალება ზუსტად შეასრულეს, ვფიქრობ, ჩვენთვის არც იტალია იქნება დაუმარცხებელი.

— რისი წყალობით მიაღწია უკრაინამ ასეთ წარმატებას?

— ნერვების წყვეტის, ჯანმრთელობის გაუარესებისა და სულიერი სიმტკიცის წყალობით. მხოლოდ ამაზე გაჩერებას არ ვაპირებთ და მომავალში უფრო მეტის მისაღწევად ვიმუშავებთ.

— მეტოქეზე რას იტყვით?

— სათქმელის მეტი რა არის, თუმცა იტალიის დასახასიათებლად ერთიც კმარა — მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს უნდა ვეთამაშოთ. შესანიშნავი მწვრთნელი, ბრწყინვალე ფეხბურთელები, ემოციური ქომაგობა — აი, იტალიის ნაკრები. ქვეყანა კი ისეთი, სადაც ფეხბურთი რელიგიაა. პარასკევს ორი ძლიერი და ამბიციური გუნდი ითამაშებს. ბუნებრივია, არც ჩვენ და არც იტალიას არ გვსურს მუნდიალის ნაადრევად დატოვება და ვფიქრობ, ძალიან კარგი თამაში იქნება. გულწრფელად გეტყვით, რატომღაც მგონია, თუ უკრაინა იტალიას ვერ შეაჩერებს, სხვაც ვერავინ შეაჩერებს.

— ანუ უკრაინას ნახევარფინალშიც ველოდოთ?

— ყოველ შემთხვევაში, ჩვენ საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ.

— ვიცით, რომ ნახევარფინალში გასვლისთვის გუნდს საკმაოდ სოლიდურ პრემიებს შეპირდით...

— გუნდმა პრემია უკვე მიიღო — ჯგუფიდან გასვლისთვის ნაკრებმა 3 მილიონი დოლარი მიიღო, კიდევ 5 მილიონი მეოთხედფინალში თამაშისთვის, ოთხმილიონნახევარი კი იტალიის ძლევისთვისაა დაწესებული... ვფიქრობ, პრემიალურები მართლაც სოლიდური თანხა გამოდის.

— და ერთიც, ქართველ ქომაგებსა და ფეხბურთელებს რას ეტყოდით?

— საფეხბურთო ტალანტებისა და კოლოსალური საფეხბურთო პოტენციალის ქვეყანა ნამდვილად იმსახურებს უმაღლესი რანგის ტურნირებზე მონაწილეობას და მსურს გისურვოთ, რომ საქართველო მალე დამკვიდრდეს იქ, სადაც იმსახურებს ადგილს. მისი ადგილი კი ევროპის საუკეთესო გუნდებს შორისაა. საფეხბურთო კრიზისი უკრაინაშიც იყო, ჩვენც ვოცნებობდით მუნდიალში მონაწილეობაზე და, როგორც ხედავთ, ოცნება ავისრულეთ. იგივეს გისურვებთ ქართველებს, ჩემს მეგობრებსა და კეთილ ხალხს. მიიღეთ ჩემი საუკეთესო სურვილები...

ძოგა ინასარიძე

AFP

ჯიქია დააკავეს

გუშინ თბილისის აეროპორტში ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი პრეზიდენტი, 2003 წლიდან ძებნაში მყოფი ბესარიონ ჯიქია დააკავეს.

ოფიციალური ცნობით, ჯიქია ტრანსფერებისას ფულის მითვისებასა და გადასახადებისგან თავი არიდებაშია ეჭვმიტანილი.

იგი 1996-99 წლებში ხელმძღვანელობდა „ტორპედოს“, შემდეგ კი ფეხბურთში აღარ გამოჩენილა.

გუშინ კი ის უკრაინიდან მოფრინავდა და აეროპორტში ლამის ტრაპზევე კრიმინალურმა პოლიციამ დააკავა...

კახეთს ოთხეული გამოეცალა

თელავის „კახეთი“ კლუბის ბიუჯეტის გაზრდას ლამობდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა და მე-18 ეროვნული ჩემპიონატისთვის „კახეთს“ ადრინდელი ბიუჯეტი ექნება.

მაგრამ ძველი ბიუჯეტი ძველ გუნდს როდი ნიშნავს — „კახეთიდან“ უკვე ოთხი ფეხბურთელი წავიდა: ოთარ როსტიაშვილი, ირაკლი გიორგობიანი, ირაკლი მაღლაკელიძე და გიორგი ცინაძე. შესაძლოა, გუნდს ვლადიმერ კობახიძეც დაშორდეს.

მოკლედ, „კახეთი“ დასუსტდა და ნაკლებად სავარაუდოა, მომავალი სეზონისთვის ახალი ფეხბურთელებით გაძლიერება შეძლოს.

„კახეთი“ თელავში ვარჯიშობს, ხვალ კი თბილისში ამხანაგურ მატჩს ითამაშებს „ლოკომოტივთან“.

დავით თავართქილაძე

იდეა ცოცხალია

ნოდარ აკობია დაბრუნდა

„ბათუმიდან“ წამოსული ფეხბურთელები და „თბილისი“ რუსთავის „ოლიმპად“ შეიკრნენ, მთავარ მწვრთნელად ნოდარ აკობიას უხმეს და... რამდენიმე დღეში თბილისში მოვარჯიშე რუსთავის „ოლიმპი“ დაიშალა. ამის მერე „თბილისი“ გელა გომელაურის ხელმძღვანელობით ვარჯიშობდა „ბათუმიდან“ წამოსულ ფეხბურთელებთან ერთად. მაშინ ვთქვით, ამ ამბავს გაგრძელება უნდა მოჰყვესო და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ასეც მოხდება.

გუშინ „თბილისის“ მესვეური მამუკა გუგეშაშვილი იმ ინგლისელ ბიზნესმენს შეხვდა, „თბილისს“ კომპანიონობა და რუსთავის „ოლიმპის“ შექმნა რომ შესთავაზა. გუშინდელ მოლაპარაკებაზე არაფერი გადაწყვეტილა, თუმც, შეიძლება ითქვას, რომ რუსთავის „ოლიმპის“ შექმნის იდეა არ მომკვდარა — „თბილისი“ ახლა საბოლოო პასუხს ელის ინგლისელი ბიზნესმენისგან.

ამასობაში „თბილისს“ და მასთან ერთად მოვარჯიშე ექსბათუმელ ფეხბურთელებს მწვრთნელად ნოდარ აკობია დაუბრუნდათ და გუნდი დღეს-ხვალ შავი ზღვის სანაპიროზე აპირებს შეკრებაზე წასვლას, სავარაუდოდ, აჭარაში ან გრიგოლეთში. შეკრების ხარჯებს „თბილისი“ გაიღებს.

დავით თავართქილაძე

ხოჯავას სამარული 15

ჩვენთვის საინტერესო ამხანაგურ მატჩზე გეტყვით, რომელიც სამარაში გაიმართა და „კრილიამ“ 1:2 წააგო ყაზანის „რუბინთან“. სამარელთაგან არ უთამაშია დავით მუჯირს და საერთოდ, გუნდის მწვრთნელმა გაჯი გაჯიევმა მეტწილად სათადარიგო შემადგენლობა და გასინჯვაზე მყოფი ფეხბურთელები გამოსცადა — მათ შორის გოჩა ხოჯავაც, რომელიც 75-ე წუთზე შევიდა მინდორზე.

„რუბინის“ ძირითადში კი ქართველთაგან მხოლოდ მიხეილ აშვეთიამ ითამაშა და შესვენებაზე შეცვალეს, ლაშა სალუქვაძე კი 61-ე წუთზე შევიდა მოედანზე. ნუკრი რევიშვილსა და გიორგი ქინქლაძეს არ უთამაშიათ — როგორც ჩანს, „ქინქის“ ბოლომდე ჯერაც არ მოურჩენია ტრავმა.

ილია ნანობაჯვილი

აზერბაიჯანის ჩემპიონმა ფეხბურთელი თბილისის დინამოდანაც შეიძინა

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

გიორგი მეგრელაძე

სიონი ორი ქართველის წინააღმდეგ ბაკის თბილისი ჯერ არ სცოდნია

ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ბოლნისის „სიონის“ მეტოქე „ბაკიზე“ ინტერნეტში თუ ცნობარებში ბევრი ვერაფერი ამოვიკითხეთ, ალბათ იმიტომაც, რომ „ბაკის“ დიდი ისტორია არ აქვს — 1997 წელს შეიქმნა.

აზერბაიჯანის ჩემპიონზე ავანჩავანის გასაგებად „ბაკის“ ვიცე-პრეზიდენტ ნაილ ალიევს დავუკავშირდით და ზოგადის გარდა, კონკრეტული ამბავიც შევიტყვეთ...

— ბოლნისის „სიონზე“ და საქართველოს ჩემპიონატზე თუ იცით რამე?

— ინფორმაციის ნაკლებობას არ ვუჩივით, საქართველოსთან მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა გვაქვს — ვაკვირდებით საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს. ადრე „ბაკიში“ იყვნენ გრიშიკაშვილი, რეხვიაშვილი... გოგობერიშვილი ახლაც ჩვენთანაა. აზერბაიჯანის ჩემპიონატში სხვა ქართველებსაც უთამაშიათ. მოკლედ, ქართული ფეხბურთის შესახებ საკმაოდ ინფორმირებულნი ვართ.

— აზერბაიჯანულ ფეხბურთში ბოლო დროს სასიკეთო ძვრებია — ალბათ, „ბაკიც“ სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით...

— უკვე ორი წელია, აზერბაიჯანში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა მოქმედებს ქვეყნის პრეზიდენტის ინიციატივით — შენდება მოედნები და იქმნება საფეხბურთო სკოლები. რაც შეეხება საგადასახადო შეღავათებს, ამით ყველა კლუბი არ სარგებლობს, კონკრეტულად განიხილება. მაგალითად, „ბაკი“ საგადასახადო შეღავათებით არ სარგებლობს.

— გოგობერიშვილი რამდენად ფასეული ფეხბურთელია „ბაკისთვის“?

— ის გუნდის საკვანძო ფეხბურთელია, მაგრამ სამწუხაროდ, „სიონთან“ პირველ მატჩში ტრავმის გამო ვერ ითამაშებს.

— კიდევ რომელიმე ქართველი ფეხბურთელის დამატებას ხომ არ აპირებთ?

— გიორგი მეგრელაძე უკვე ჩვენთანაა.

— მეგრელაძე „ბაკიში“ იჯარითაა?

— არა, ჩვენ ის უკვე გამოვისყიდეთ თბილისის „დინამოდან“ და მეგრელაძესთან ორწლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ.

— სატრანსფერო თანხას ვერ გვეტყვით?

— ეს კონფიდენციალურია.

— წილისყრამ მეტოქედ „სიონი“ რომ გარგუნათ, კმაყოფილი ხართ?

— წილისყრის შედეგს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ, ნებისმიერ მეტოქეს პატივისცემით ვეპყრობით. კარგია, რომ შორს წასვლა არ მოგვიწევს და მეზობლებთან ვითამაშებთ.

— შანსებს როგორ აფასებთ?

— თანაბრად, ჩვენ ხომ საქართველოს ჩემპიონს ვეთამაშებით, ქართული საფეხბურთო სკოლა კი საბჭოთა კავშირში ერთერთი მოწინავე იყო.

— „ბაკის“ სეზონისწინა შეკრება სად აქვს?

— გუნდი ბაქოში ემზადება, აზერბაიჯანის ჩემპიონატი კი 5 აგვისტოს იწყება. „ბაკის“ დაკომპლექტება ახალი სეზონისთვის ჯერ არ დასრულებულა.

— „ბაკის“ საშინაო მატჩებზე რამდენი გულშემატკივარი დადის?

— დედაქალაქში მაყურებლის მოზიდვა პრობლემურია. „ბაკის“ საშინაო მატჩებზე დაახლოებით ათასი გულშემატკივარი დადის, თუმც იმედია, „სიონთან“ მატჩზე უფრო მეტი გვეყოლება.

— „ბაკის“ ქომაგები თბილისში არ ჩამოჰყვებიან?

— თბილისში?! ჩვენ ხომ ბოლნისში ვთამაშობთ?

— არა, „სიონი“ „ბაკის“ 11 ივლისს თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე უმასპინძლებს...

— რატომ? ეს ჩვენთვის ჯერ არავის უთქვამს. ვიცით, რომ ბოლნისში ადრე ჩატარებულა საევროტურნირო მატჩი და ისიც ვიცით, რომ ბოლნისში საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმაც ითამაშა წინა შესარჩევ ციკლში. მაშ, რატომ უნდა ითამაშოს „სიონმა“ „ბაკისთან“ თბილისში?! ჩვენთან, აზერბაიჯანში, ევროტურნირებზე ევლახის გუნდი ევლახში თამაშობს, ლენქორანის ლენქორანში...

— მოკლედ, საქართველოში „ბაკის“ გულშემატკივარი არ ჩამოჰყვება?

— ვნახოთ, „ბაკის“ ჰყავს ფან-კლუბი, თუმც არა მგონია, ხალხმრავალი დელეგაციით ჩამოვიდეთ.

დავით თავართქილაძე

აზრზე არ ვართ, სად მივდივართ

სლოვაკებმა თბილისი ალმათით გამოთვალეს

თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ საუეფასთასო მეტოქე სლოვაკური „არტმედია“ ამხანაგურ მატჩში რუსულ „სატურნს“ გაეჯიბრა და 0:1 დამარცხდა.

სხვათა შორის, „არტმედიას“ და „სატურნს“ საკმაოდ თბილი ურთიერთობა აქვთ — ჯერ კიდევ შარშანდელ სეზონში რუსებმა სლოვაკებისგან ერთბაშად ხუთი ფეხბურთელი შეიძინეს და, როგორც ამბობენ, ახლაც ეპატიჟებიან რამდენიმეს...

ამასობაში, „არტმედია“ „ვიტ ჯორჯიასთან“ თამაშზე ფიქრობს, თუმც ინფორმაციის ნაკლებობას უჩივის. აი, რა უთხრა ჟურნალისტებს სლოვაკური კლუბის გენერალურმა მენეჯერმა პეტრ კაშპარმა: „ქართულ გუნდზე თითქმის არაფერი ვიცით. ცნობილია მხოლოდ ის, რომ „ვიტ ჯორჯია“ მეორე ადგილზე გავიდა საქართველოს ჩემპიონატში. ახლა ვცდილობთ, კიდევ რამე გავიგოთ, თუმც რა გამოგვივა, ძნელი სათქმელია. ჰო, კიდევ ის ვიცით, რომ თბილისი გაცილებით ახლოსაა, ვიდრე ალმათი, სადაც შარშან ვითამაშეთ.“

შეგახსენებთ, რომ უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „ვიტ ჯორჯია“ „არტმედიას“ 13 ივლისს ესტუმრება, საპასუხო მატჩი კი 27 ივლისს თბილისში, „მიხეილ მესხზე“ გაიმართება.

ძახა შალამბერიძე



„არტმედია“ — „ვიტ ჯორჯიას“ პირველი მატჩი ამ სტადიონზე გაიმართება

განცხადება

ბუნებრივია, ნებისმიერი მარცხი, თუნდაც ეს ამხანაგური შეხვედრა იყოს, არავისთვისაა სასიამოვნო და გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც ჩვენი გუნდია. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ორ დღეში „დინამოს“ ინტერტოტოს თასზე პრინციპული მატჩი ელის „რიდთან“, წინა მატჩში „ლეობენს“ პრაქტიკულად მეორე შემადგენლობით დავუპირისპირდით. მხედველობაში ისიც მისაღებია, რომ შეხვედრას „რიდის“ მწვრთნელებიც ესწრებოდნენ. გუნდი დღეს გრაცთან ახლოს მდებარე სასტუმროში დაბინავდება. მატჩი კი, თბილისის დროით, 21 საათზე დაიწყება. შეხვედრის მიმდინარეობის შესახებ, ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას გულშემატკივარს „დინამოს“ ვებ-გვერდზე ვპირდებით.

„დინამოს“ პრესსამსახური





ეროვნულზე ღამეც დღეა

რას ჰგავს ეროვნული სტადიონი, არადა, აქ გამოვლისასაც კი ტანში მბურძგლავდა — ბევრ გულშემატკივარს უთქვამს ეს სიტყვები და მართლაც, ეროვნულ სტადიონს, რა ხანია, არ შეეხედებოდა...

ახლა კი, რაღა მკვდარი გაცოცხლებულა და რაღა ის, რაც დღეს სტადიონზე ხდება. ლამის გამოტირებული „ეროვნული“ ფერზე და ჯანზე მოდის.

ტრიბუნები გარედან მუქი მწვანე იქნება, საყრდენი კონსტრუქციები და სახურავი კი ვერცხლისფრად იღებება. კოხტავდება საპრესკონფერენციო დარბაზი და ვიპ-ლოჟა, მოედანზე უკვე შეტანილია ხრეში და მალე მინდვრის დაგებაც დაიწყება.

60 000 — დაახლოებით ამდენი იქნება სტადიონის ტევადობა და თურქულ-შვედურ-გერმანულ კომპანიას უკვე შეუკვეთეს სკამები. იცვლება სარბენი ბილიკიც.

და მაინც, მთავარი სამუშაოები წინაა. ამაზე ორიოდ სიტყვით „დინამო ინვესტის“ აღმასრულებელ დირექტორ *ირაკლი მეძმარიაშვილს* ვესაუბრეთ...

„მინდვრის საფარს ველოდებით. ერთ რამეში დარწმუნებული იყავით, გაზონი კარგი ხარისხის იქნება. საავარაუდოდ, საფარის დაგება 10 ივლისამდე დაიწყება. რაც შეეხება სკამებს, ხუთი ფერისა იქნება: მწვანე, წითელი, ლურჯი, თეთრი და ყვითელი. მუშაობა ისეთი ტემპით მიმდინარეობს, რომ ეჭვიც არაა, 2 სექტემბრისთვის სტადიონი მზად იქნება.“

2 სექტემბერს კი, რა შეხსენება გინდათ, საქართველო — საფრანგეთია. მეტი რაღა დიდი მოვლენა ვთქვათ: ევრო-2008-ის შესარჩევი ციკლის პირველი საშინაო მატჩი, კლაუს ტოპმიოლერის თბილისური დებიუტი და მართლა სტადიონი...



ლუკა თალაკვაძე
გურამ დოლენჯაშვილის
ფოტოები

ფოტო დოლანჯაშვილის

მიზანი, რომელიც პოლონეთზე მეტია

დღეს მოსკოვის გავლით პოლონეთში გაფრინდა საქართველოს სტუდენტ ხელბურთელთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. რიგით მე-18 სტუდენტური ფორუმი პოლონეთის საპორტო ქალაქ გდანსკში ზეგ დაიწყება.

შეჯიბრებაში 18-28 წლის მოთამაშეებით დაკომპლექტებული 13 გაკრები ჩაებმება. გუნდები ორ ჯგუფად არიან განაწილებულნი. ჩვენებთან ერთად ითამაშებენ პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხეთის, ხორვატიისა და იაპონიის ნაკრებები. მეორე ჯგუფში შვიდეულია — სერბეთი, რუსეთი, უკრაინა, ლატვია, თურქეთი, ჩინეთი და ბრაზილია.

ტურნირის სისტემა მარტივია — ჯგუფებში 1-6 ადგილებზე გასულები მეორეჯგუფელ თანააადგილსნებს შეხვდებიან.

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელია საუნივერსიტეტო სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ მეტრეველი, მეორე მწვრთნელი — ირაკლი კეკელიძე, გუნდში კი არიან: გიორგი წივწივაძე, დავით ნადირაძე, აკაკი ტალახაძე, ზაზა ფერაძე, დავით ნიკოლაიშვილი (ყველა „სტუ-შევარდენი“), რატი მსხვილიძე, გაგა სამყურაშვილი („ქარიშხალა“), შოთა გრიშიკაშვილი („ხკ თბილისი“), სერგო დათუკაშვილი („ისტადი“, შვედეთი), რევაზ ჭანტურია („მეტალურგი“, მაკედონია), ვლადიმერ რუსია („შახტარი“, უკრაინა), მამია კობახიძე („ოზელ-იდარე“, თურქეთი), გიორგი ქობელაშვილი („კოროპი“, საბერძნეთი).

ყველაზე ტიტულიანი ლეგიონერია 24 წლის „მარჯვენა ფრთა“ რევაზ ჭანტურია, რომელიც სკოპიეს „მეტალურგის“ შემადგენლობაში მაკედონიის ჩემპიონი და თასის მფლობელი გახდა — ერთი სიტყვით, ამ პოსტიუგოსლავიური ქვეყნის აბსოლუტური გამარჯვებულია. დათუკაშვილის „IFK ისტადმა“ შვედეთის ჩემპიონატში მხოლოდ მეხუთე ადგილი კი დაიკავა, მაგრამ თავად 28 წლის თბილისელს მოედანზე გარჯა სათანადოდ დაუფასდა და სკანდინავიის ამ ყველაზე სახელოვანი სახელბურთო ქვეყნის საუკეთესო შუამარბად დაასახელეს.

ნაკრების არაევროპელთაგან აღსანიშნავია საქართველოს 2005-06 წლების საუკეთესო მოთამაშე, ქვეყნის უცვლელ ჩემპიონ „სტუ-შევარდენისა“ და მთელი სეზონის მთავარმეგოლე გიორგი წივწივაძე. 24 წლის „გოლების მანქანამ“ ეროვნულ მეტოქეებს 192-ჯერ გაუტანა და მდევრებს მისხალი შანსი არ დაუტოვა. ჩემპიონატი დასრულდა და „წივწივას“ ხელბურთის კლუბ „თბილისში“ გადასვლა სურს. გუნდებს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს და საკითხი, ალბათ, პოლონეთიდან დაბრუნების შემდეგ გადაწყდება.

ეტყობა, საბოლოოდ მაშინ გაირკვევა მეორე — „სტუ-შევარდენისა“ და „თელავის“ გაერთიანების ამბავიც. ამ კლუბებს შარშანაც სურდათ ერთად ყოფნა, მაგრამ ორგანიზაციული პრობლემების გამო ეს საქმე დაგვიანდა. ვნახოთ, ამჯერად რა იქნება.

გუშინ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში ნაკრების ვარჯიშის შემდეგ *მერაბ მეტრეველს* გავესაუბრეთ.

— როგორც ვიცით, საპოლონეთო შემადგენლობა საბოლოოდ დადგინდა ჩვენთან სასპარინგოდ ჩამოსულ აზერბაიჯანის ნაკრებთან შეხვედრების შემდეგ.

— მანამდე ორ-სამ პოზიციაზე ვაკანსია გვქონდა და საბოლოო გადაწყვეტილებაც მეზობლებთან მესამე, თელავში გამართული მატჩის შემდეგ მივიღეთ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრების ძირითადი ბირთვი ოთხი წლის შემდეგ პირველად შეიკრიბა ერთად. ამდენად მთავარი იყო ჩვენი ბიჭების რეალური ძალის შეფასება და „უცხოელ-შინაურთა“ შეთამაშება. წინ ხომ ჩვენი პირველი ნაკრების ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობა გველის და ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ წარმატების მიღწევას. ამდენად, პოლონეთში გამოსვლა ჩვენი მთავარი გუნდის ნორმალური მომზადებისთვის ამ რთულ გზაზე პირველი ნაბიჯია.

— თელავში, თამაზ ანთაძის სახელობის სპორტსკოლის დარბაზში ხუთბურთიანი გამარჯვებით კმაყოფილი დარჩებოდით.

— მარტო ეგ არ არის. მართალია, წინა ორ მატჩში მარცხის შემდეგ აზერბაიჯანელებთან დამაჯერებელი — 33:28 გამარჯვება მოვიპოვეთ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ რამდენიმე ტაქტიკური ვარიანტი, ასე ვთქვათ, პოლონური მოდელი დავამუშავეთ. სასიამოვნოა, რომ ჩვენი ბიჭების თამაში მატჩიდან მატჩამდე უკეთესდებოდა, ამდენად შეთამაშების პრობლემა თანდათან მოიხსნა. ორმეტრიანი რატი მსხვილიძე ხაზიდან უკან დავწიეთ, რომ ცხრა-ათ მეტრიანი ზონიდან შეუტიოს მეტოქის კარს მაღალ ნახტომში. მსხვილიძის გარდა კიდევ ორი ბომბარდირი გვყავს — ვლადიმერ რუსია და მამია კობახიძე, ამდენად, იმედიანად ვართ. უფრო გვიჭირს გამთამაშებლის პოზიციაზე, სადაც სერგო დათუკაშვილის დაყენებას ვაპირებთ, თუმც ისიც ხომ ძირითადად მეგოლეა. სერგოს გამოცდილი ზაზა ფერაძე დაეხმარება. კმაყოფილი ვარ დაცვიდან შეტევაში ბურთის სწრაფი გადატანით და შესაბამისად, ასევე სწრაფად ბიჭების უკან დაბრუნებით, რაც წინა ორ თამაშში ჩვენი სუსტი წერტილი იყო და რაზეც აზერბაიჯანელებმა არაერთხელ „დაგვიჭირეს“.

— მზადება და პოლონეთში ვოიაჟი მცირე თანხა არ დაჯდებოდა.

— რა თქმა უნდა, და ეს ყველაფერი საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“ დააფინანსა, რისთვისაც დიდი მადლობლები ვართ.

— წილისყრამდე გვითხარით, რომ ჯგუფური ტურნირიდან პლეი ოფში გასვლას და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას ეგმავდით.

— ვითარება შეიცვალა. რადგან მონაწილედ 13 გუნდი დარჩა, ორგანიზატორებმა ოთხის ნაცვლად ორი ქვეჯგუფი შეადგინეს და სისტემაც სხვანაირია. პლეი ოფი აღარ იქნება და მხოლოდ თითო, საკონტაქტო თამაში გადაწყვეტს ადგილების ბედს. ჩვენი ჯგუფი ობიექტურად მეორეზე ძლიერია. ფავორიტად მასპინძელი პოლონეთი და ტრადიციულად ძლიერი ხორვატია ითვლება. ჩვენ ჯგუფში მესამე ადგილისთვის და შესაბამისად საერთო მეხუთე ადგილისთვის ვიბრძოლებთ. ეს სადღეისოდ ჩვენთვის მაქსიმალური შედეგია.

გია ახალაძე

ქუთაისელებმა დიღომში ჩამოცურავს

თბილისში, დიღმის 25-მეტრიან აუზში საქართველოს მოცურავეთა ჩემპიონატი, მართალია, ჯერჯერობით ურეკორდებოდ მიმდინარეობს, მაგრამ იგი მაინც საყურადღებო შეჯიბრება გამოდგა. უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მასში აზერბაიჯანელებიც მონაწილეობენ და ამდენად საერთაშორისო ტურნირადაც გვევლინება. ამას გარდა, ეროვნულ ჩემპიონატში, როგორც იქნა, გამოჩნდნენ ქუთაისელები, რომლებიც წინათ სისტემატურად მონაწილეობდნენ რესპუბლიკურ პირველობებში და არაერთი მაღალი დონის მოცურავითაც იწონებდნენ თავს. მათ გარდა შეჯიბრებაში გამოდიან ბათუმის, გორის, რუსთავისა და თბილისის წარმომადგენლებიც, ყოველივე ამან კი ეს ჩემპიონატი გუნდების რაოდენობის მხრივ სარეკორდო გახადა.

შეჯიბრებაში სულ 120-მდე მოცურავემ მოიყარა თავი. მათი რაოდენობა შეიძლებოდა მეტიც ყოფილიყო, მაგრამ რაკი სარბიელზე მეორე თანრიგზე დაბალი დონის სპორტსმენები არ დაიშვებოდნენ, გუნდის სრულად დაკომპლექტება ყველამ ვერ შესძლო.

დღევანდლამდე გამართული გაცურვებიდან ყველაზე საინტერესო იყო ბრასით ვაჟთა 200 მეტრზე შეჯიბრება. აქამდე ამ დისციპლინაში თბილისელი ივანე ლექვთაძე უკონკურენციო იყო, ახლა კი მას თხუთმეტი წლის ილია მანჯგალაძის სახით სერიოზული მეტოქე გამოუჩნდა. მეტიც, მანჯგალაძემ თავისი უფროსი კოლეგა მეტად მწვავე ბრძოლაში, საქართველოში ცურვის განვითარების დღევანდელ კვალობაზე საკმაოდ კარგი შედეგით (2.28,2) დაამარცხა და პირველად მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა, რაც იმედია, მისთვის დიდი სტიმული გახდება. ლექვთაძე კი ამჯერად მეორე (2.29,2) აღმოჩნდა.

ავთანდილ ბუყვიშელი

საქართველოს ჩემპიონატი. თბილისი. 28-29 ივნისი

ერთსულოვანი ხატიაშვილი

ფოტო დოლანჯაშვილის

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ტანვარჯიშის დარბაზში მხატვრულად ტანმოვარჯიშეთა საქართველოს ჩემპიონატი დასრულდა. გუშინ მედლები ცალკეულ სახეობებში გათამაშდა. მრავალჭიდის მიმოხილვისას ნახსენები მსაჯები გუშინ გაცილებით ნაკლებს კამათობდნენ. იუნიორთა შეჯიბრის ჩამთავრების შემდეგ კი უთანხმოება საერთოდ გაქრა.

უფროსთა შორის 17 წლის ქეთი ხატიაშვილი ყველა მეტოქეზე ერთი თავით მაღლა იდგა და შედეგად ოთხივე სახეობაში ჩემპიონი გახდა. ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები კი თათია დონაძემ, ლიკა ჯორბენაძემ და ელენე გავარდაშვილმა დაინაწილეს.

იუნიორებშიც მრავალჭიდის მომგებმა ტანმოვარჯიშემ აჯობა ყველას, თუმც ელენა ტიტოვამ ოთხი სახეობიდან მხოლოდ ორში — რგოლსა და ბაფთაში მოიპოვა ოქროს მედალი. სახტუნაოთი საუკეთესო ციცია მკერვალი იყო, გურზებით — ნათია ნაკაიძე.

ოთარ მაღლაკელიძე

იუნიორები

სახტუნაო
1 ციცია მკერვალი
2 ნათია ნაკაიძე
ელენა ტიტოვა
3 ნინო ქურდაძე

რგოლი
1 ელენა ტიტოვა
2 ნინო ქურდაძე
3 ციცია მკერვალი

გურზები
1 ნათია ნაკაიძე
2 ნინო ქურდაძე
3 ციცია მკერვალი

ბაფთა
1 ელენა ტიტოვა
2 ნათია ნაკაიძე
3 სოფო ხოფერია

უფროსები

სახტუნაო
1 ქეთი ხატიაშვილი
2 თათია დონაძე
3 ლიკა ჯორბენაძე

რგოლი
1 ქეთი ხატიაშვილი
2 თათია დონაძე
3 ლიკა ჯორბენაძე

გურზები
1 ქეთი ხატიაშვილი
2 ელენე გავარდაშვილი
3 თათია დონაძე

ბაფთა
1 ქეთი ხატიაშვილი
2 ლიკა ჯორბენაძე
3 თათია დონაძე

ნბა-ს კომისარი დევიდ შტერნი ანდრეა ბარნანის პირველნომრობას ულოცავს

პირველად იყო ევროპა

დრაფტის ტონი: ბენეტონი

გუშინ გამთენიისას ნიუ იორკში ლეგენდარული დარბაზი „მედისონ სკვერ გარდენი“ მასპინძლობდა დრაფტს, ანუ დიდი კალათბურთისთვის მომწიფებული ახალგაზრდების ნბა-ს კლუბებში გადანაწილების საზეიმო ცერემონიას.

აქედანვე უნდა ითქვას, რომ ისევე, როგორც შარშან, არც ახლა გამოჩენილა ქართველი. ქართული კალათბურთის წიაღში ვინც კი ნბა-სთვის სახეირო გაიზარდა, ყველა წინა წლების დრაფტებზე დაინაწილეს ამერიკულმა კლუბებმა — 2002 წელს ნიკა ცქიტიშვილი, 2003 წელს ზაზა ფაჩულია და 2004 წელს ვიქტორ სანიკიძე.

თუმც დრაფტს ტრადიციულად არ აკლდნენ ევროპელები და პირველი წრის 30 რჩეულში ექვსი ბებერი კონტინენტის სკოლის გამოშვებაა. და, რაც მთავარია — სწორედ ევროპელი გახდა დრაფტის პირველი ნომერი, რაც აქამდე არ მომხდარა. 2001 წელს მე-3 ნომრად აირჩიეს ესპანელი ვაუ გასოლი. 2003 წელს კი სერბ დარკო მილიჩიჩის მე-2 ნომრად ყოფნის პატივი ხვდა.

ახლა პირველი არჩევანის გაკეთების უფლება „ტორონტო რეპტორზს“ ჰქონდა. კლუბი წინასწარ არ აცხადებდა, ვის შეარჩევდა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, იტალიელ ანდრეა ბარნანის დააღო ხელი.

20 წლის 211-სანტიმეტრიანმა ბარნანმა ერთი წელი ითამაშა ტრევიზოს „ბენეტონში“ და ევროლიგაც დაიჭაშნიკა. კარგად ესვრის შორიდან, რის გამოც მომავალი დირკ ნოვიცკის იარლიყიც ერგო. ადარებენ პაუ გასოლსაც, თუმც აზრად არავის მოსვლია, იტალიელი ნიკა ცქიტიშვილისთვის დაეზომებინა (ნიკამაც ხომ „ბენეტონიდან“ შეაბიჯა ნბა-ში). ჯერ შეხედავენ, საქმეში ნახავენ და მერე უკეთ შეადარებენ ვინმეს.

ბარნანმ პირველნომრობით ფრიად გაიხარა, თუმც ოდნავ სინანულით დასძინა, ჩვენთან, იტალიაში ყველას ფეხბურთზე აბოდებს, მით უმეტეს ახლა, ასე რომ, ჩემს ამბავს ბევრი ვერც კი შეიტყობდაო.

მეორე არჩევის უფლება „ჩიკაგო ბულზმა“ ტეხასელ ცენტრ დემარკუს ოლდრიჯზე დახარჯა, მაგრამ მერე ინანა თუ რა იყო, „პორტლენდს“ გაუცვალა მე-4 ნომრად არჩეულ ფორვარდ ტირუს ტომასში. საზოგადოდ ამ დრაფტზე არაერთი გაცვლა მოხდა. განსაკუთრებით აქტიურობდა „პორტლენდი“, რომელმაც „მინესოტასთანაც“ გაცვალა მე-6 და მე-7 ნომრები.



შელდენ უილიამსი ზაზა ფაჩულიას „ატლანტას“ ფარქვეშეთში შეეხიდება

დრაფტზე წარმდგარ ყმაწვილთაგან, მრავალთა თქმით, ყველაზე ნიჭიერი ადამ მორისონი მხოლოდ მე-3 იყო. თავიდან ძალიან უნერვიულია, „ტორონტომ“ მას „ვიღაც იტალიელი“ რომ ამჯობინა და მერე „ჩიკაგომაც“ რომ არ მიაქცია ყურადღება, მაგრამ მაინც გაიხარა, როცა „შარლოტში“ მოხვდა. ეს გუნდი ხომ ცოტა ხნის წინ მაიკლ ჯორდანმა აიყვანა თავის ფრთებქვეშ, როცა კლუბის აქციათა გვარიანი წილი იყიდა. ყველა დროის უდიადესისგან ბევრს ვისწავლი, ისიც რომ მითხრას, ფეხსაცმელზე თასმები მასე კი არა, ასე უნდა შეიკრა, იმასაც დავუჯერებო — ხარობდა მორისონი.

ზაზა ფაჩულიას „ატლანტასაც“ საკმაოდ მაღალი არჩევანი ჰქონდა, რაკიღა ბოლო სეზონში უხეიროებში იყო გარეული. ჯორჯიელებმაც თავიანთ ჯორჯიელ ცენტრს მე-5 ნომრად აყვანილი მძიმე ფორვარდი შელდენ უილიამსი შეუამხანაგეს, ფაჩულიას ფარქვეშ ხელს შეაშველებსო. უილიამსი სიმაღლეში მხოლოდ 206 სანტიმეტრია, მაგრამ გვარიანი წონა აქვს და რაღაცით ჩამოჰგავს კლიპერსელ ელტონ ბრენდს, ნბა-ს ერთ-ერთ უძლიერეს მეფარეს. სათქმელია, რომ უილიამსმა წინა წლებში გაუძლო ნბა-ში ადრეულ ასაკშივე მოხვედრის ცდუნებას, დიუკის ცნობილ უნივერსიტეტში სწავლის 4-წლიანი კურსი პატიოსნად დახურა და დრაფტზე უკვე ბაკალავრის დიპლომით წარსდგა. ეს მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ბეჯითი და სერიოზული ბიჭია, ხოლო კალათბურთში რა ფხას გამოიჩენს, ეს რამდენიმე თვეში, ახალ სეზონში გამოჩნდება.

საერთოდ, დრაფტის პირველი შვიდი არჩეულიდან სამი უნივერსიტეტდამთავრებულია, რაც სასიამოვნო ტენდენციაა. ბოლო ხანებში გუნდებს — ოთხწლიან უმაღლეს განათლებას ვინ ჩივის — პირდაპირ სკოლებიდან აჰყავდათ ნიჭიერი ყმაწვილები და თუმცა ბევრი ამათგანი სუპერვარსკვლავად იქცა (გარნეტი, ბრაიანტი, ჯერმენ ონილი, სტუდემაიერი), ბევრიც ისე ჩაიკარგა, თამაშში ზედიზედ ორი ბურთი არ ჩაუგდია.

კონექტიკუტის უნივერსიტეტმა ერთბაშად ოთხი სტუდენტი „გააყარა“ დრაფტის პირველივე წრეში, რითაც 1999 წლის დიუკის და 2005 წლის ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტების მიღწევა გაიმეორა. ამასთან ერთი კონექტიკუტელი მეორე წრეშიც იქნა არჩეული.

ძოტე ყორღია

I რაუნდი

1	ტორონტო	ანდრეა ბარნანი	211	ბენეტონი (იტალია)
2	ჩიკაგო (პორტლენდს გაუცვალა)	დამარკუს ოლდრიჯი	211	ტეხასი
3	შარლოტი	ადამ მორისონი	203	გონზაგა
4	პორტლენდი (ჩიკაგოს გაუცვალა)	ტაირუს ტომასი	206	ლუიზიანა
5	ატლანტა	შელდენ უილიამსი	206	დიუკი
6	მინესოტა (პორტლენდს გაუცვალა)	ბრენდონ როი	196	ვაშინგტონი
7	პორტლენდი (მინესოტას გაუცვალა)	რენდი ფოი	191	ვილანოვა
8	ჰიუსტონი	რუდი გაი	203	კონექტიკუტი
9	გოლდენ სტეიტი	პატრიკ ობრაიანტი	213	ბრედლი
10	სიეტლი	მუჰამედ სინი	213	პეპინსტერი (ბელგია)
11	ორლანდო	ჯეიჯეი დერიკი	193	დიუკი
12	ნიუ ორლეანი	ჰილტონ არმსტრონგი	211	კონექტიკუტი
13	ფილადელფია (ჩიკაგოს გაუცვალა)	ტაბო სეფალოშა	198	ბიელა (იტალია)
14	იუტა	რონი ბრეევერი	201	არკანზასი
15	ნიუ ორლეანი	სედრიკ საიმონსი	208	ჩრ. კაროლინა
16	ჩიკაგო (ფილადელფიას გაუცვალა)	როდნი კერნი	201	მემფისი
17	ინდიანა	შონ უილიამსი	206	მემფისი
18	ვაშინგტონი	ალეკსი პეჩეროვი	208	რასინგი (საფრანგეთი)
19	საკრამენტო	კუინსი დუბი	191	რუტ გერსი
20	ნიუ იორკი	რენალდო ბალკმანი	203	სამხრეთ კაროლინა
21	ფინიქსი (ბოსტონს გაუცვალა)	რეიჯონ რონდო	188	კენტუკი
22	ნიუ ჯერსი	მარკუს უილიამსი	188	კონექტიკუტი
23	ნიუ ჯერსი	ჯოშ ბუნი	208	კონექტიკუტი
24	მემფისი	კაილი ლოური	183	ვილანოვა
25	კლივლენდი	შენონ ბრაუნი	193	მიჩიგანი
26	ლეიკერსი	ჯორდან ფარმერი	186	უკლა
27	ფინიქსი	სერხიო როდრიგესი	191	ესტუდიანტესი (ესპანეთი)
28	დალასი	მორის ეიჯერი	193	მიჩიგანი
29	ნიუ იორკი	მერდი კოლინსი	198	ტემპლი
30	პორტლენდი	ჯოელ ფრილენდი	208	კანარია (ესპანეთი)

მონიკა პურაკი

ბებერ ევროპას რუსები შეესივნენ

საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატის თუ სხვა რამ მიზეზის გამო ამ ზაფხულს, ცოტა არ იყოს, მიყუჩებულმა მძლეოსნებმა გერმანიაში ორდღიანი შესვენებით ისარგებლეს.

ძალიან საინტერესო ტურნირს მასპინძლობს საბრძოლისპანური კურორტ-ქალაქი მალაგა — კერძოდ კი ევროპის თასს, რომელშიც ქალთა და ვაჟთა 9-9 რჩეული საძლეოსნო ქვეყნის გუნდი მონაწილეობს. არის ერთი მნიშვნელოვანი პირობა — ქვეყანას რაიმე სახეობაში, თუნდაც 100 მეტრ სპრინტში, ინებისმიერ სხვა დისციპლინაში მხოლოდ ერთი წარმომადგენლის ყოლის უფლება აქვს.

პირველივე დღეს აიწყვიტეს რუსმა დედაკაცებმა, რომლებიც ავერ ცხრა წელია, ბებერ კონტინენტზე არავის ახარებენ. რუსებს არ ჰყავდათ ჭოკით ხტომაში ათეულეულით რეკორდის მომხვეჭი ელენა ისინბაევა. მისი ადგილი სვეტლანა ფეოფანოვამ დაიკავა, რომელიც ჭოკის საქმეში მსოფლიოს მეორე ოსტატად ითვლება. ფეოფანოვამ ყველა ცდა ჩაუფლავდა და, საკვირველ, ბოლო ადგილი შეხვდა. მიუხედავად ამისა, რუსებმა პირველივე დღეს იმდენი ქულა მოაგროვეს, რომ ადვილად რომ ჩემპიონობა ვინმეს დაუთმონ. მათ 83 ქულა უსწრიალეთ ყულაბაში და 19-ით უსწრებენ მეორეზე მავალ პოლონელებს. ქალთა ჭოკში კი იყოჩაღა პოლონელმა მონიკა პურაკმა (4,75 მ)

რუსები ლიდერობენ კაცთა ტურნირშიც და საკმაოდ დამაჯერებლადაც — მათ 71 ქულა აქვთ. შემდეგ მოდიან პოლონეთი (54), უკრაინა (53), იტალია (52), ირლანდია (51) და ასე შემდეგ.

იტალიას ძალიან გამოადგა ამერიკაში დაბადებული სივრცეზე მხტომელი ენდრიუ ჰოუის 8,26 მეტრიანი ნახტომი, რაც 21 წლის იტალიელ-ამერიკელისთვის პირადი რეკორდია.

კაცებში ყველაზე პრესტიჟულ დისციპლინაში, 100 მეტრზე სპრინტში იყოჩაღა ფრანგმა რონალდ პიერნმა, ვინც ეს მანძილი 10,13 წამში დაფარა და 0,06 წამით მიასწრო ფინიშთან დოპინგის მოხმარების გამო აქამდე 2 წელი უქმად მორბენალ ბრიტანელ დუეინ ჩამბერსს.

ძოტე ყორღია

უიმბლდონი 2006. ბალახი. საპრიზო 10 378 710 £

29 ივნისი

კაცები

მეორე წრე

ირაკლი ლაბაძე (საქართველო) — **გასტონ გაუდიო** (16, არგენტინა) 6:4 6:2 6:3; **იარკო ნიემინენი** (22, ფინეთი) — **მარტინ ლი** (ბრიტანეთი) 6:4 6:0 6:3; **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) — **ალეხანდრო ფალა** (კოლუმბია) 6:4 6:4 3:6 7:6; **ტომაშ ბერდიხი** (13, ჩეხეთი) — **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) 6:4 6:7 2:6 7:6 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერბეთი) — **ტომი რობრედო** (11, ესპანეთი) 7:6 6:2 6:4; **მარკოს ბაღდატისი** (18, კვიპროსი) — **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) 3:0 (უარი); **მარდი ფიში** (აშშ) — **მელე ვან გემერდენი** (ჰოლანდია) 6:2 6:0 6:1; **ანდრე აგასი** (25, აშშ) — **ანდრეას სეპი** (იტალია) 6:4 7:6 6:4; **დანიელე ბრაჩიალი** (იტალია) — **სტეფანო გალვანი** (იტალია) 6:3 6:7 6:3 6:4; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — **რობერტ კენდრიკი** (აშშ) 6:7 3:6 7:6 7:5 6:4; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — **ლუკაშ დლუჰი** (ჩეხეთი) 6:3 6:4 4:6 1:6 6:4; **სებასტიან გროჯანი** (15. საფრანგეთი) — **ჯემი დელგადო** (ბრიტანეთი) 6:3 3:6 6:2 6:3; **ოლივიე როზუსი** (26, ბელგია) — **ტომაშ ზიბი** (ჩეხეთი) 6:1 6:1 6:0; **დავიდ ფერერი** (23, ესპანეთი) — **გილერმო გარსია-ლოპესი** (ესპანეთი) 7:6 7:5 6:3; **ფერნანდო გონსალესი** (10, ჩილე) — **მარატ საფინი** (რუსეთი) 4:6 6:7 6:4 6:4 6:4; **ენდი როდიკი** (3, აშშ) — **ფლორიან მაიერი** (გერმანია) 6:4 6:1 6:2; **ივან ლიუბიჩიჩი** (5, ხორვატია) — **ჯასტინ გიმელსტობი** (აშშ) 6:3 7:6 7:5; **დმიტრი ტურსუნოვი** (27, რუსეთი) — **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) 6:1 7:5 6:4; **ენდი მიურეი** (ბრიტანეთი) — **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) 7:6 6:4 4:6 (გადაიდო); **ლეიტონ ჰიუიტი** (6, ავსტრალია) — **ჰიუნგ-ტაიკ ლი** (კორეა) 6:7 6:2 7:6 6:7 (გადაიდო)

ქალები

მეორე წრე

მარია შარაპოვა (4, რუსეთი) — **ეშლი ჰაკლროუდი** (აშშ) 6:2 6:2; **ფლავია პენეტა** (16, იტალია) — **ლაურა გრეფვილი** (აშშ) 6:2 6:1; **ემი ფრეიზერი** (აშშ) — **მელინდა ფინკი** (უნგრეთი) 6:2 6:3; **შუაი პენგი** (ჩინეთი) — **შაჰარ პირი** (20, ისრაელი) 6:4 7:6; **ანასტასია მისკინა** (9, რუსეთი) — **მარტინა მიულერი** (გერმანია) 6:2 6:1; **კატარინა სრებოტნიკი** (სლოვენია) — **ალისია მოლიკი** (ავსტრალია) 6:2 6:1; **აგნიშკა რადვანსკა** (პოლონეთი) — **ცვეტანა პირონკოვა** (ბულგარეთი) 7:5 7:6; **ტამარინ ტანასუგარნი** (ტაილანდი) — **შინობუ ასაგოე** (იაპონია) 6:3 7:5; **დანიელა ჰანტუხოვა** (15, სლოვაკეთი) — **ჯამეა ჯექსონი** (აშშ) 6:3 4:6 7:5; **სევერინ ბრემონდი** (საფრანგეთი) — **პატი შნიდერი** (8, შვეიცარია) — 4:6 6:1 6:4; **ელენა დემენტიევა** (7, რუსეთი) — **მეგან შონესი** (აშშ) 5:7 6:3 7:5; **შენი პერი** (აშშ) — **მელანი საუტი** (ბრიტანეთი) 7:6 6:2; **ელენა ლიხოვცევა** (25, რუსეთი) — **ტიან ტიან სუნი** (ჩინეთი) 6:3 6:3; **ნიკოლ პრატი** (ავსტრალია) — **ტატიანა გოლოვინი** (29, საფრანგეთი) 2:6 6:4 6:4; **ვენუს უილიამსი** (6, აშშ) — **ლიზა რეიმონდი** (აშშ) 6:7 7:5 6:2; **ელენა იანკოვიჩი** (26, სერბეთი) — **ვანია კინგი** (აშშ) 6:2 4:6 6:4; **ამელი მორესმო** (1, საფრანგეთი) — **სამანტა სტოსური** (ავსტრალია) 6:4 6:2; **ანა ივანოვიჩი** (19, სერბეთი) — **სარა ბორველი** (ბრიტანეთი) 6:1 6:2; **დინარა საფინა** (14, რუსეთი) — **მაშონა ვაშინგტონი** (აშშ) 4:6 6:4 6:1; **ანაბელ მედინა-გარიგესი** (23, ესპანეთი) — **კლარისა ფერნანდესი** (არგენტინა) 6:7 7:5 11:9; **სიბილ ბამერი** (ავსტრია) — **ანასტასია როდიონოვა** (რუსეთი) 6:4 6:4

ნადალი: არა ვარ ბალახზე დაბადები

ქიფი ფიფს — მარდია, მაგრამ დავარტყათ ფიფს

ირაკლი ლაბაძე კარიერაში პირველად გავიდა სლემტურნირის მესამე წრეში. ეს მიღწევა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ქართველმა ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე მოახერხა აქამდე შეუძლებლის ასრულება.

არადა, ჩვენებურს მეტოქე სერიოზული ჰყავდა — გასტონ გაუდიო, 2004 წლის „როლან გაროსის" ჩემპიონი. თანაც წვიმების გამო სათამაშო განრიგი თავდაყირა დადგა და ირაკლისაც ზედიზედ მოუწია თამაშების ჩატარება. პირველ მატჩში, მოგეხსენებათ, ლაბაძეს ხუთსეტიანი ომი გადახდა ალექსანდრ პეიასთან, ამიტომაც გადაღლის ფაქტორს შეიძლება, უარყოფითად ემოქმედა ქართველის თამაშზე.

მაგრამ საქმე აქამდე არ მისულა — ლაბაძე თავიდან ბოლომდე აკონტროლებდა მატჩს და დამსახურებულად, ყოველგვარი ნერვიულობისა თუ წვალების გარეშე მოიგო. აქაში ისიც არის „დამნაშავე", რომ გაუდიო ესპანურ-სამხრეთამერიკული საჩოგბურთო სკოლის ტიპიური წარმომადგენელია, ანუ უკანა ხაზიდან თამაშის დიდი მოყვარული. ეს სტილი კი ბალახს ვერ უთავსდება და ამიტომაც ამ სკოლის წარმომადგენლები უიმბლდონზე ხშირად ცუდად, ხანდახან კი საერთოდ ამაზრზენად გამოდიან.

თუმც ეს ფაქტორი ვერ დააკნინებს ლაბაძის გამარჯვებას — რაც არ უნდა იყოს, ტურნირის მე-16 ნომრის დამარცხება იოლი არ არის.

ლაბაძის მომავალი მეტოქე ამერიკელი მარდი ფიშია. მართალია, ვერც ეს იანკი დაიკვეხნის რაიმე განსაკუთრებული მიღწევებით, მაგრამ ბალახზე თამაშის სპეციფიკასაც კარგად იცნობს. თუმც ჩვენებურს ამ ბარიერის გავლაც ხელეწიფება და ირაკლიმ ეს თუ მოახერხა, მეოთხე წრეში ანუ მერვედფინალში ამოყოფს თავს.

მართალია, გაუდიოს მსგავსად ბალახზე თამაში არ ეხერხება რაფაელ ნადალსაც, მაგრამ, სამაგიეროდ, მას გააჩნია ის, რაც არგენტინელს არ აღმოაჩნდა — ბოლომდე ბრძოლის უნარი და ჟინი. მართლაც, ესპანელი მზეჭაბუკის ამ თვისებებზე ლამისაა ლეგენდები დადის და არცთუ უსაფუძვლოდ. გუშინაც ნადალმა მხოლოდ ამ თვისებების ხარჯზე შეძლო რობერტ კენდრიკის გატეხვა და მესამე წრეში გასვლა, თორემ ყველაფერი თითქოს მის წინააღმდეგ იყო — საძულველი საფარი, ორი წაგებული სეტი და მეტოქის თითქმის იდეალური თამაში.

თუმც პირინეელმა ამ დიდი ორმოდანაც მოახერხა ამოძრომა, რის გამოც ქების მეტს არაფერს იმსახურებს.

ნადალის მომავალი მეტოქე ანდრე აგასი იქნება. ეს კი მართლაც კარგი საცქერი ჯახი გაშოვა — ახალგაზრდობა და ავანტიურიზმი გამოცდილებისა და ჭკუის წინააღმდეგ. საინტერესოა, მაინც რომელი ჩოგბურთელის არგუმენტები გადაწონის.

თვითონ აგასიმ კი საკმაოდ თავისუფლად, სამ სეტში მოუგო ანდრეა სეპის და ესპანელთან მომავალი ჯახისთვის ძალებიც შემოინახა.

რასაც ნადალი გადაურჩა, ვერ ასცდა მეორე ესპანელი ტომი რობრედო. ნოვაკ ჯოკოვიჩის ძალისმიერ თამაშს პირინეელმა ვერაფერი დაუპირისპირა და ფარ-ხმალი სამ სეტში დაყარა.

ტურნირის ორგანიზატორებზე ცოტა გაბრაზებული მარია შარაპოვა კი ჯავრს თავის მეტოქეებზე იყრის და მათ უმოწყალოდ უსწორდება. საქმე იმაშია, რომ ორგანიზატორებმა, შილიფად ჩაცმული ან კიდევ ზედმეტად მოკლე კაბებით არავინ დავინახოთ, თორემ ჯარიმა არ ასცდებათ და თუ საქმე საქმეზე მიდგა, საერთოდ დისკვალიფიკაციითაც „დავასაჩუქრებთო" — თან პირდაპირ მიუთითეს შარაპოვაზე, მაგის ჩაცმის სტილი არ მოგვწონსო.

მაშამ ერთი კი დაიჩივლა, იმ კაბებში თამაშს მიჩვეული ვიყავი და ახლების შეგუება ადვილი არ იქნება, თანაც ძველებში უფრო თავისუფლად ვგრძნობდი თავსო. თუმც ჯერჯერობით რუს პრიმას შებოჭილობის არაფერი ეტყობა და ნამდვილ საჩემპიონო თამაშს აჩვენებს. ამჯერად შარაპოვამ ეშლი ჰაკლროუდი დაამარცხა, რასაც საათზე ცოტა მეტი მოანდომა.

შარაპოვას სხვა რუსებმაც აუბეს მხარი. განსაკუთრებით ანასტასია მისკინაა გამოსაყოფი, რომელიც აგერ უკვე მეორე მატჩია, ძალიან სოლიდურ თამაშს აჩვენებს.

სამაგიეროდ, ასევე მეორე მატჩია, რაც წვალობს ელენა დემენტიევა. ყველაზე ჩლუნგი მოწოდების მქონე რუსს ჯერჯერობით ყოფნის კლასი საიმისოდ, რომ დიდი ოფლის ღვრით, მაგრამ მაინც მოუგოს მეგან შონესის მაგვარ ჩოგბურთელებს, თუმც მერე რა გამოუვა, ძნელი სათქმელია.

პირველი სერიოზული დანაკლისი კი ქალთა შორის პატი შნიდერი აღმოჩნდა. ორ დღეზე გაწელილ შეხვედრაში შვეიცარიელმა მაყურებლებს თავი შეცდომათა კასკადით თუ დაამახსოვრა. ამიტომაც მესამე წრეში სევერინ ბრემონი ითამაშებს.

კახა ლომაშვილი

რაფაელ ნადალმა ბეწვისხიდზე გაიარა, მარია შარაპოვას კი პრობლემებს საკუთარი სამოსი თუ უქმნის

AFP ლოზდონიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიბრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგულაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალალაშვილი, ირაკლი პერტია, ბარო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუტიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208, ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00